სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 17 თებერვალი 2004 №34 (2053) | ფასი 50 თეთრი

ბიშოვეცმა ჟორდანიასთან ჰურრი გატეხა და ნაკრების დინამოელები გაიცნო



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას ნაკრების მწვრთნელის ვინაობა გუშინ არ გამოუცხადებია და შესაძლოა ეს საქმე, 23 თებერვლისთვის გადაიდოს. არადა, თითქმის ყველამ იცის, ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ეროვნულ გუნდს ანატოლი ბიშოვეცი ჩაიბარებს. მას კვიპროსზე ნაკრები ჯერ არ უვარჯიშებია, თუმც ფეხბურთელთა გაცნობა უკვე მოასწრო, ახალი მწვრთნელი გუნდს სასტუმრო „მირამარეში" ესტუმრა.

თუკი შეთანხმებულნი არიან, რატომ ყოვნდება ბიშოვეცთან კონტრაქტის გაფორმება? — იკითხავთ.

საკონტრაქტო დეტალებზე ფედერაციის პრეზიდენტსა და მწვრთნელს კიდევ აქვთ მოსალაპარაკებელი. ბიშოვეცს გუნდის ჩაბარება გუშინვე შეეძლო, თუმც... ავტორიტეტს გაფრთხილება უნდა, ბიშოვეცს არ სურს, კვიპროსის ტურნირზე, საქართველოს ექსპერიმენტული ნაკრების მწვრთნელად მოიხსენიონ.

სხვა მხრივ, ბიშოვეცი გუშინ თავის გუნდს, „ხიმკის" შეხვდა, რომელიც იქვეა მოსამზადებლად და ახალ სამსახურის თაობაზე აცნობა. საღამოხანს მწვრთნელი უკვე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად ვახშმობდა.

უმწვრთნელო ნაკრებმა გუშინ ლიმასოლში ორჯერ ივარჯიშა. დილით მთელი დატვირთვით, საღამოს კი ძლიერი ქარის გამო ვარჯიში საათზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა.

მოლოდინი მოლოდინად დარჩა — კვიპროსზე არ ჩასულან გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი. მათ ნაცვლად გუნდს კვიპროსზე მოთამაშე ლევან ქებაძე, კლიმენტი წიტაიშვილი და გიორგი გაბიდაური დაემატნენ. მეორე ბუნდესლიგის „უნიონის" ნახევარმცველ დავით სირაძეს კი დღეს ელიან. გუშინ დილით დაშავდა და საღამოს არ უვარჯიშია ვიტალი დარასელიას. მისი თამაში ხვალ რუმინეთთან სათუოა, სიცხიანია „თბილისის" მცველი რევაზ ქემოკლიძე და არც მისი თამაშია გადაწყვეტილი. გუნდი გუშინაც გოჩა ტყებუჩავამ და ნიკა ჩხეიძემ ავარჯიშეს.

კოტა ინასარიძე

რაგბის კავშირს ქვემოდან აწვებიან

პორტუგალიასთან ნამარცხევი ბრაზი ჯერ ხეირიანად არ გამონელებულა და ქართულმა სარაგბო თემმა დიდი გარჩევა მოაწყო. გუშინ ფიზიკური კულტურის და სპორტის აკადემიის დარბაზში შეკრებილმა ფუნქციონერებმა, მწვრთნელებმა, ვეტერანებმა და უბრალო გულშემატკივრებმა კარგა ხანი იმსჯელეს რაგბის უსიხარულო ყოფაზე და ბუნდოვან მომავალზე. სალაპარაკო, არა მხოლოდ ნაკრებზე, მართლა ბევრი დაგროვდა და დაგროვდა საქმეც.

კონფერენციას არ ესწრებოდნენ რაგბის კავშირის ხელმძღვანელები, შეკრებილები კი მათ მიმართავენ. კონფერენციის დასკვნა და ქართული რაგბის მოთხოვნა ასეთია — ერთ თვეში დაინიშნოს რიგგარეშე ყრილობა და რაგბის კავშირის პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

ბავშვი ჟურნალის ფოტო

ამ ბავშვს სიხარული უნდოდა...

ნოდია სიურპრიზის მეგობარია

ბიშოვეცი შემადგენლობას ჩაუჯდა

ფაქტობრივად, უკვე გადაწყვეტილია, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცი უთავკაცებს. მას გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიაც შეხვდა. მოლაპარაკებით ორივე მხარე კმაყოფილია. ბიშოვეცს საქართველოში საკმაოდ ჰყავს მეგობრები, მათგან ერთი „დინამოს“ სპორტული დირექტორი გივი ნოდიაა. ბატონი გივი „დინამოსთან“ ერთად კვიპროს ზე იმყოფება, იქაა ბიშოვეციც. ბუნებრივია, ძველი ნაცნობები და მეგობრები ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებოდნენ და ერთმანეთს აზრსაც გაუზიარებდნენ. ეს დაგვიდასტურა თავად ნოდიამ, როდესაც კვიპროს ზე შევეხმიანეთ

გურამ ფოლადაშვილის ფოტო

— ბატონო გივი, როგორ აღიქვამთ ბიშოვეცის საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნის პერსპექტივას?

— სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. მე ბიშოვეცთან საკმაოდ დიდი ხნის მეგობრობა და ურთიერთობა მაკავშირებს. ვიცი, რომ იგი საოცრად პრინციპული, სერიოზული და მოაზროვნე მწვრთნელია. ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიური ჩემპიონია და არაერთი სხვა წარმატებისთვისაც მიუღწევია.

— ბუნებრივია, კვიპროსზე ძველ მეგობარს ნახავდით...

— რასაკვირველია. ბიშოვეცს მაშინ შევხვდი, როდესაც ჟორდანიასთან მოლაპარაკების პირველი რაუნდი დასრულდა. ის საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა. აღნიშნა კიდეც ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის საქმისადმი პროფესიული მიდგომა. მოკლედ, მთლიანობაში კმაყოფილი დარჩა.

— ალბათ ქართველ ფეხბურთელებზეც გკითხავდათ, მით უმეტეს, კვიპროსზე შეკრებილი გუნდის ბირთვი თბილისის „დინამოა“...

— ბუნებრივია, იგი „დინამოში“ მოთამაშე ფეხბურთელების შესაძლებლობებითაც დაინტერესდა. ვფიქრობ, ჩემგან საკმაოდ ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს მხოლოდ დინამოელების შესახებ ვისაუბრეთ. მან ქართველ ლეგიონერებზეც ჩამომიგდო სიტყვა და ჩაინიშნა, რაც უნდოდა. ყურადღება გაამახვილა დარასელიაზე, ალექსიძის არყოფნის მიზეზიც იკითხა.

— როგორ შეატყვეთ, აქვს წარმოდგენა დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე და ფეხბურთელებზე?

— ზოგადი წარმოდგენა ნამდვილად აქვს. ის რუსეთში საქმიანობს და კარგად იცის, რას წარმოადგენენ იქ მოთამაშე ქართველები. გარდა ამისა, არც წამყვან ევროპულ კლუბებში მოთამაშე ქართველების ნახვაა დღესდღეობით ძნელი. მთავარია, რომ მან კარგად იცის ქართული ხასიათი.

დავით ერაძე

ბუდრო ჯეფლაშვილის ფოტო

ამერელების ერთი გოლი ალეკო კაიდარაშვილისა იყო

ამერმა პენალტებით წააგო

ჩიხრაძემ წიხლი არ შეირჩინა

გერმანიის სამხრეთ რეგიონალიგის „ჟოიხტი“ და თბილისის „ამერი“ 90 წუთის შემდეგ რომ გაიყარნენ, მოედანს ალმური ასდიოდა. ეს ნაღდი ბრძოლა იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქეები კაცნაკლულნი დარჩნენ. გერმანელების თურქი ლეგიონერი და „ამერის“ კაპიტანი ჩიხრაძე ცენტრში ერთმანეთს შეასკდნენ. ძირს დაცემულმა თურქმა ჩიხრაძეს ფეხი ჰკრა და პასუხიც მიიღო, მსაჯმა კი ორივე გააძევა.

შეხვედრის დაწყებიდან ნახევარი საათი ისე მიიღა, რომ ნაღდი საგოლე მომენტი არ შექმნილა. ასლანაძემ შორიდან დარტყმული მოიგერია, ხოლო ჟოიხტელთა მეკარემ — ვერემჩუკის შესრულებული საჯარიმო.

ტაიმის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მამუკა რუსიამ მცველთა შეცდომით და საკუთარი სისწრაფით ისარგებლა. ის საჯარიმოში შევარდა და წააქციეს. პენალტი ვერემჩუკმა ვერ გამოიყენა — მეკარემ აჯობა.

შესვენებამდე წამები რჩებოდა, როცა გერმანელებმა სწრაფი კონტრშეტევით იხეირეს. ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთზე გიუკონშიკმა თბილისელ მცველებს დაასწრო და ერთი შეხებით ანგარიში გახსნა.

მეორე ნახევარი ჟოიხტელთა იერიშით დაიწყო და შეცვლაზე შესულმა ნადირაშვილმა პირისპირ გასულ მეტოქეს არ გაატანინა. ამას მოჰყვა გერმანელ მცველთა შეცდომა და საჯარიმოში კაიდარაშვილის წაქცევა. პენალტი ფორვარდმა თავად შეასრულა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

გერმანელებმა „ამერს“ პენალტითვე უპასუხეს. ნადირაშვილმა კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ჰილბერტის ძლიერ დარტყმულს ვერ მისწვდა. ამის მერე ერთი კარგი მომენტი რუსიას ჰქონდა, მაგრამ მისი დარტყმული მცველმა კარის ხაზიდან გამოიტანა. ბოლოს კი ისევ ნადირაშვილმა იყოჩაღა, სამიოდ მეტრიდან გერმანელის დარტყმული მოიგერია. ორი მომენტი ჰქონდა შეცვლაზე შესულ გოცირიძესაც. მან ჯერ მცველს თავზე გადაუგდო ბურთი, მაგრამ ვეღარ დაარტყა, მერე კი ახმახ მეტოქეს ბრძოლაში აჯობა და სახიფათო თავური დაარტყა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ასლანაძე (ნადირაშვილი 46), დავითნიძე, კედელაშვილი, ჩიხრაძე, გარუჩავა, ვერემჩუკი, შონია (ანუგრავა 78), ხუბუა, ბერიანიძე, რუსია, კაიდარაშვილი (გოცირიძე 83)*

ვაჟა ხუციშვილი ანთალიიდან

გერმანია

II ბუნდესლიგა. XX ტური

ნიურნბერგი 2:2 მაინცი

იტალია

სერია B. XXVII ტური

სალერნიტანა 2:2 ტრიესტინა

სერია C/B. XXII ტური

ტერამო 1:0 პეზარო

პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური

გიმარაეში 0:1 ბელენენსეში

რიუ ავე 1:2 ალვერკა

ბელგია

იუპილერლიგა. XXII ტური

ლუვიე 0:0 ბეერსხოტი

ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური

სიგმა 0:0 იაბლონეცი

თურქეთი

სუპერლიგა. XXI ტური

რიზე 1:0 ისთანბული

მალტის ტურნირი 2004

მეორე ტური

მალტა 5:2 ესტონეთი

ბელარუსი 1:0 მოლდოვა

ალექსიძემ იმდენი ირბინა

გოლი, ხარიხა და გაჯვირვებული რუსები

ანთალიაში მყოფმა „როსტოვმა“ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. როსტოველებს სერიოზული მეტოქე ჰყავდათ, რუმინეთის ჩემპიონატის ლიდერი „დინამო.“ ბუქარესტელებმა 4:1 გაიმარჯვეს, ჩვენ კი „როსტოვის“ ახალწვეულის რატი ალექსიძის ამბავი გვაინტერესებს და აკი რატიმ სადებიუტო მატჩშივე ეფექტური გოლი გაიტანა, ხარიხაც შეა ზანზარა და თანაგუნდელებს პენალტის დარტყმის უფლებაც მოუპოვა. ფორვარდს ნამატჩევს შევეხმიანეთ

— პირველ მატჩში გოლის გატანა მოსალოცი ამბავია. როგორი თამაში იყო?

— ძალიან ხისტი და დამღლელი, უამრავი ჯარიმით. ბუქარესტის „დინამო“ საკმაოდ ძლიერი გუნდია. თუმც პირველ ტაიმში არაფრით ჩამოვუვარდებოდით და თანაბრადაც ვეთამაშეთ. მოედანზე ჩემი გაშვება არ უნდოდათ, ექიმმა შევჩენჯოს ურჩია, დავესვენებინე. მე შევუჩნდი, ისე მინდოდა თამაში. დაჟინებულ თხოვნას ვეღარ გაუძლეს და მითხრეს, მხოლოდ ერთ ტაიმს გათამაშებთო.

— ორივე ტაიმს როგორღა შემორჩი?

— ისე ვირბინე, რომ მეც გამიკვირდა. ამის შემხედვარე არც მწვრთნელებს უფიქრიათ ჩემი გამოცვლა. თანაც პენალტი ავიკიდე, ორჯერ ძელს მოვარტყი და გოლიც გავიტანე.

— პენალტის და გოლის მომენტები გაიხსენე...

— საჯარიმოში ორი ცრუმოძრაობით შევედი, ჩემკენ მცველი გამოიქცა, ბურთი ფეხებში გავუძვრინე და დასარტყმელად მოვემზადე, ამ დროს კი უკნიდან ისე ჩამარტყეს, რომ პენალტის დარტყმაც ვერ მოვახერხე. გოლი კი მართლაც ლამაზი გამოვიდა. საჯარიმოში ბურთი ძლიერად ჩამოაწოდეს, მე იმიტაცია გავაკეთე, თითქოსდა ვატარებდი, მცველი ამ ფანდს წამოეგო, მე კი ბურთი გავაჩერე და მოჭრილი დარტყმით მარჯვენა კუთხეში გავიტანე.

— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— მთლად კმაყოფილი არა ვარ. კიდევ ორი გოლის გატანა შემეძლო, ისინიც რომ გამეტანა, მაშინ ნაღდად კმაყოფილი ვიქნებოდი. მარტო ორჯერ ძელს გავარტყი. ექიმმა მითხრა, შენ იმდენი ირბინე, ხვალ აუცილებლად დაგასვენებო.

— თანაგუნდელებს როგორ შეეწყვე?

— ჩამოსვლის დღიდან მაგრძნობინეს, რომ ჩემზე დიდ იმედებს ამყარებენ. მთელი გუნდი იმას ცდილობს, როგორმე ბურთი ჩემამდე მოიტანონ. ფეხბურთის თამაში იციან და მალე მოედანზეც ვიპოვით საერთო ენას.

— ალბათ, გეცოდინება, ეროვნულ ნაკრებს მალე ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება — ანატოლი ბიშოვეცი...

— გავიგე და გამიხარდა, თუნდაც იმიტომ, რომ პოსტსაბჭოური სივრცის მწვრთნელებმა ყველაზე უკეთ იციან ქართული ფეხბურთი და მისი თავისებურებანი. კვიპროსზე ბიჭებსაც ველაპარაკე და მითხრეს, რომ ბიშოვეცი მათ გასცნობია და ურთიერთობაც იოლად დაუმყარებია. მალე, ალბათ, მეც გავიცნობ.

დავით ერაძე

ლაპარაკიც საქმეა

გჟებიჯი ბუა არ ყოფილა

რუსულ პრემიერლიგაში ქართველები მუდამ იყვნენ. ეგაა, 90-იანების დასაწყისში ჩვენი თანამემამულე, ფაქტობრივად, ყველა რუსულ კლუბში იყო, მერე კი ქართველთა რიგებმა შეთხელება იწყო, ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სულაც თითზე ჩამოსათვლელიც გახდა. როგორც ჩანს, რუსეთში ისევ დაიჯერეს ქართული ფეხბურთის პოტენციალი და წლეულს ისევ სოლიდური შევსება მიიღეს.

მოსკოვის „დინამოში" უკეთ აეწყო ოთარ ხიზანეიშვილის საქმეებიც. მართალია, თავდაპირველად ფეხის ტრავმამ, ხოლო შემდეგ თვალის პრობლემებმა მას თავის გამოჩენის შანსი არ მისცა, მაგრამ დღესდღეობით ყველაფერი რიგზეა და ქართველი ფეხბურთელიც ნელ-ნელა უშინაურდება გჟუბიკის გუნდს. სწორედ ამიტომაც შევეხმიანეთ გუშინ ხიზანეიშვილს გერმანიაში...

— ტრავმა და თვალის პრობლემები უკვე წარსულია?

— მადლობა ღმერთს, ასეა. თითქოს ფეხის და თეძოს ტრავმა არ კმაროდა, რომ თვალიც არ დამატებოდა, ისედაც ორი კვირა გამიცდა... მოკლედ, იმ წვალების და ნერვიულობის გახსენებაც არ მინდა.

— ფორმაზე როგორა ხარ?

— ფორმამდე ჯერ შორსაა. ხეირიანად ხუთი დღეა, რაც ვვარჯიშობ. ძალიან მონდომებული კი ვარ, ამას კლუბშიც ხედავენ და მეუბნებიან.

— რაც მთავარია, ამხანაგურ მატჩშიც გამოჩნდი...

— პირველი შეხვედრა გერმანულ „როტ ვაისთან" ვითამაშე, თანაც შეუცვლელად, ამან სტიმული შემმატა. მართალია, მანამდე ერთხელ გუნდურ სპარინგშიც ვითამაშე, მაგრამ რეალური საფეხბურთო მატჩის განცდა სულ სხვაა. თანაც „როტ ვაისთან" 2:1 მოვიგეთ და ჩემს თამაშზე ცუდი არავის უთქვამს.

— როგორც ჩანს, გჟებიკიც მოლბა, მასთან თუ გქონდა საუბარი?

— ვისაუბრეთ და ძალიან კარგი შთაბეჭდილებაც დამრჩა. ახლაღა ვხვდები, რომ ჩემი უთამაშებლობა მისი ბრალი არ ყოფილა. ის სიტუაციაში გაერკვა და ახლა თავის გამოჩენის საშუალებას ყველას საკუთარი შეხედულებით აძლევს.

— შენი ბედი საბოლოოდ როდის გაირკვევა?

— გერმანიაში კიდევ 12 დღე ვიქნებით, ორ ამხანაგურ მატჩს ჩავატრებთ და მოსკოვში დავბრუნდებით, სწორედ იქ გაირკვევა ყველაფერი საბოლოოდ, ამჯერად უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

დავით ერაძე

აშვეთიამ ასათიანს მოუგო

თამაშ-თამაში მორჩა, მონაყო იწყება

ქუთაისის „ტორპედო" და მოსკოვის „ლოკომოტივი". ამ გუნდების შეხმატკბილება უკვე აშკარაა. ბოლო ორი წელია, ქართველი ფეხბურთელები რიონისპირა ქალაქიდან სუსხიან მოსკოვში უმტკივნეულოდ გადადიან. ასე იყო 2003 წლის დამდეგს, როცა „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ მალხაზ ასათიანი თბილისის „დინამოს" ცოცხალი თავით არ დაუთმო და „ლოკომოტივს" მიჰყიდა. ასეა ახლაც, რომან ახალკაცმა რკინიგზულ კლუბში გასული წლის ბოლოს მოულოდნელად ამოჰყო თავი. რიგში კიდევ ერთი ტორპედოელია და, როგორც ჩანს, მისი შანსებიც საკმაოდ მაღალია — უკრაინელი ანდრი პოროშინი. მართალია, „პორო" ჯერჯერობით მხოლოდ სარეზერვო გუნდში ისინჯება, მაგრამ თურქმენეთის „პრეზიდენტის თასზე" თავის გამოჩენაც მოასწრო: ტაჯიკურ „ავიატორთან" გატანილი გოლის მერე, გუშინწინ, ესტონურ „ფლორასთანაც" იყოჩაღა. პატარა რკინიგზელებმა ბალტიისპირელებს სწორედ პოროშინის კინკილა გოლით სძლიეს. ერთი სიტყვით, უკრაინელის გალოკომოტიველება დროის ამბავია.



ანდრი პოროშინი

„დიდი ლოკომოტივი" კი ჩემპიონთა ლიგისთვის გერმანიაში ემზადება და ქართველები იქაც ყოჩაღობენ. სამიოდ დღის წინ იური სიომინის გუნდი მოყვარულ „ბონლადენს" გაეჯიბრა და 4:2 მოუგო. მიხეილ აშვეთია მე-60 წუთზე გამოჩნდა მოედანზე და ერთი გოლის გატანაც მოასწრო, მალხაზ ასათიანმა კი დაცვის ცენტრში ითამაშა და მე-60 წუთზევე შეცვალეს.

გუშინ რკინიგზელებმა ორმხრივი მატჩით „გაირთეს" თავი. ასათიანი და აშვეთია მეტოქენი იყვნენ. საბოლოოდ აშვეთიას „ყვითლებმა" 3:1 მოიგეს. მსაჯი თავად იური სიომინი იყო, რომელსაც მცირე ტრავმების გამო უთამაშებლად დარჩენილი დმიტრი ლოსკოვი და მაქსიმ ბუზნიკინი ეხმარებოდნენ.

მოსამზადებელ ეტაპზე „ლოკომოტივმა" რვა ამხანაგური მატჩი ჩაატარა (4 მოგება, 3 ფრე, 1 წაგება). საუკეთესო ბომბარდირი მიხეილ აშვეთიაა, რომელმაც 7 თამაშში 5 გოლი გაიტანა. ორ-ორი გოლით მერე მოდიან ასათიანი, სიჩოვი და პარკსი.

რკინიგზელები მოსამზადებელი ეტაპის ბოლო მატჩს ხვალ „შტუტგარტთან" გამართავენ, მერე კი ჩემპიონთა ლიგა და „მონაკო"...

კახა შალამბერიძე

ზირაქას გოლის ბარაქა მოენატრა

თბილისის „ლოკომოტივი" ხელახლა ყალიბდება — ახალი ხელმძღვანელობა, ახალი მწვრთნელები, ახალი ფეხბურთელები და დაბალი ხელფასები. თუმც „ლოკომოტივში" ერთი-ორი გამოცდილი ფეხბურთელი მაინც მივიდა, მათ შორის ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი, ვინც მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე უგუნდოდ იყო...

— შენი „ლოკომოტივში" ჩარიცხვა გადაწყვეტილია?

— ამას წინ არაფერი უდგას და ალბათ, სეზონის ბოლომდე „ლოკომოტივში" ვიქნები — აქ დაბალი ხელფასებია, მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარია, ვითამაშო.

— მას შემდეგ, რაც ორი წლის წინ თბილისის „დინამოდან" სკანდალურად წამოხვედი, სტაბილურად არ გითამაშია — ტრავმა, ოპერაცია, გუნდის გამოცვლა, უთამაშებლობა — როგორ ფიქრობ, კვლავ შეძლებ მაღალ დონეზე თამაშს?

— რატომაც არა?! იანვარში დაახლოებით ორი კვირა სწორედ „ლოკომოტივში" ვვარჯიშობდი, მანამდე კი ერთი თვე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი ფიზმომზადების მწვრთნელ ავთო ბერიძესთან. სამი საკონტროლო მატჩის თამაშიც მოვასწარი და როცა სეზონი განახლდება, კარგ ფორმაში ვიქნები.

— შენი მთავარი კოზირი სისწრაფეა — შეინარჩუნე ის?

— სისწრაფე კი შევინარჩუნე, მაგრამ უთამაშებლობა მაინც თავისას შვრება — გოლის ალღოს შესანარჩუნებლად მხოლოდ ვარჯიში არ კმარა, ამისთვის აუცილებელია სათამაშო პრაქტიკა.

— როგორ ფიქრობ, რა გაქანების გუნდი იქნება „ლოკომოტივი" ჩემპიონატის მეორე ეტაპზე?

— გუნდში ჯერაც არეულობაა — შეიძლება ვიღაც მოვიდეს ან წავიდეს. ისე კი, „ლოკომოტივში" ახლა ბევრი ისეთი ფეხბურთელია, ვისთან ერთადაც „დინამოშიც" მითამაშია — ზამთარაძე, სვანაძე, მანწკავა, მიქაძე, დათვაძე — ვფიქრობ, „ლოკომოტივს" არავისზე ნაკლები ფეხბურთელები არ ჰყავს, თუმც გუნდი დაცვის ხაზის ბირთვმა რომ დატოვა, ეგეც ფაქტია.

— „ლოკომოტივში" ზაურ სვანაძემ მიგიწვია?

— „ლოკომოტივში" ჩემი სურვილით მივედი, რადგან თბილისურ გუნდში მსურდა თამაში.

— ამ სეზონის მეორე ეტაპზე ისევ იმ „ზირაქას" ვიხილავთ, ვინც სამი წლის წინ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა?

— ყოველ შემთხვევაში, თავდადებით და შეუპოვრობით ნაკლები ნამდვილად არ ვიქნები.

დავით თავართქილაძე

ლოკომოტივი ჯერ ვაგზალია

ზოგს აცილებენ, ზოგს ხვდებიან

გუშინ თბილისურმა „ლოკომოტივმა" ვაკეში საკონტროლოდ „სიონი" იწვია. „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე რკინიგზელებმა 3:1 მოუგეს ქვემოქართლელებს ზირაქიშვილის დუბლით და სოსო გიგიაძის თავურით. ბოლნისელთაგან თავი ექსსპარტაკელმა თოდუამ გამოიჩინა. „სიონი" კი დამარცხდა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დაბრუნდა ბოლნისში, რაკლა რკინიგზელთა მცველი როინ ონიანი გააყოლა ხელს. ონიანის „სიონში" გადასვლა გუშინდელი მატჩის მსვლელობისას გადაწყდა. ამ ფეხბურთელის თაობაზე „ლოკომოტივის" გენერალური მენეჯერი ლევან ყიფიანი და „სიონის" მენეჯერი ვაჟა ჟვანია შეთანხმდნენ და ონიანი იჯარით სეზონის ბოლომდე ითამაშებს „სიონში".

გუშინ „ლოკომოტივი" დატოვეს ლაშა სალუქვაძემ და სერგო ორბელაძემ. ლევან ყიფიანმა მხოლოდ ის გვითხრა, ეს ფეხბურთელები ერთ-ერთ გუნდს გაჰყვნენ შეკრებაზეო. იგულისხმება უცხოური კლუბი, რომლის ვინაობასაც რკინიგზელები ჯერჯერობით არ ახმაურებენ, თუმც ყიფიანი დაგვპირდა, რამდენიმე დღეში პრესკონფერენციას გავმართავთ და გუნდის თაობაზე ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდითო.

რკინიგზელთაგან გოლის გამტანი ბოლოს „ურალანში" მოთამაშე ვასილ გიგიაძის ტყუპისცალი სოსოა. იგი ბოლო ხანს ტრავმირებული იყო და ნელ-ნელა იბრუნებს სათამაშო ფორმას, თუმც მისი „ლოკომოტივში" თამაში თავად მწვრთნელმა ზაურ სვანაძემ გამორიცხა: — გიგიაძე ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენ აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ, ამიტომაც მისთვის უარის თქმა მოგვიწევს — გვითხრა სვანაძემ.

როინ ონიანი

რკინიგზელთა ახალი მწვრთნელის თქმით, ფაქტობრივად გადაწყვეტილია გიორგი მიქაძის „ლოკომოტივში" დაბრუნება. მიქაძემ გუშინ ერთი ტაიმი ითამაშა და ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

სვანაძემ გუშინ სამტრედიელი რაფაელოვიც გამოსცადა, მორიგ საკონტროლო მატჩში კი შესაძლოა, „ლოკომოტივის" კარში ზურაბ მამალაძე ჩადგეს. რკინიგზელები მასთან მოლაპარაკებას აწარმოებენ.

ბოლოს ერთიც: შესაძლოა, „ლოკომოტივი" ერთკვირიანი შეკრების მიზნით კვირის ბოლოს აზერბაიჯანს ესტუმროს და იქ ორი საკონტროლო მატჩიც გამართოს.

კაატა კვანტალიანი

ბერძნები ფულს გამოვიდნენ

ქართველებიც დარჩნენ

ბერძნული „იანინას" ქართველების ბედი ორშაბათამდე გაურკვეველი იყო...

შეგახსენებთ, „იანინაში" სამი ჩვენებურია — ლაშა ჯაკობია, ვახტანგ ხვადაგიანი და მიხეილ ხუციშვილი. ეს ფეხბურთელები ბერძნული მეორე დივიზიონის კლუბში მწვრთნელ ელგუჯა გუგუშვილს ჩაჰყვნენ, რომელიც თავის მხრივ ბიზნესმენმა ჯონი გიგანმა მიიწვია „იანინაში". მაშინ თავად გიგანმა თქვა, ბერძნული კლუბი ვიყიდეო, თუმც მოგვიანებით გაირკვა, რომ გიგანს ეს საქმე დასრულებული არა აქვს, მეტიც, შესაძლოა, საერთოდ უარი თქვას „იანინაში" ფულის ჩადებაზე.

ელგუჯა გუგუშვილმა კლუბთან შეთანხმებით მხოლოდ ერთ თვეს უხელმძღვანელა „იანინას", წინა კვირას კი თბილისში დაბრუნდა. გუგუშვილმა არცთუ სახარბიელო ვითარებაში დატოვა ფეხბურთელები — სანახევროდ ქალაქის ბიუჯეტზე მყოფ კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონდა და ხელფასპრემიებს ვერ იხდიდა, ამიტომაც დიდი შანსი იყო, ქართული ტრიოც მწვრთნელის გზას დასდგომოდა და „იანინას" გაცლოდა. თუმც ამ დღეებში ბერძნებმა ფეხბურთელების დავალიანება გაისტუმრეს. ამის შესახებ თავად გუგუშვილმა გვითხრა, რომელიც ტელეფონით ესაუბრა „იანინას" პრეზიდენტ მანტოს კოლემბას.

— საბერძნეთიდან წამოსვლის წინ კოლემბას შევხვდი, დაგვპირდა, რომ ქართველ ლეგიონერებს კუთვნილს მისცემდა და სიტყვა შეასრულა, მას და ქართველ ფეხბურთელებს გუშინ ვესაუბრე და ყველაფერი რიგზეა, ბიჭები „იანინაში" რჩებიან — გვითხრა ელგუჯა გუგუშვილმა, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

თბილისში დაბრუნებული გუგუშვილი ჯონი გიგანსაც შეხვდა. ზოოვეტერინარული უნივერსიტეტის რექტორის თქმით, გამორიცხული არ არის, გიგანმა მართლაც შეისყიდოს „იანინას" საკონტროლო პაკეტი, რომლის მფლობელიც დღესდღეობით სწორედ მანტოს კოლემბაა.

კაატა კვანტალიანი



კლიმენტი წიტაიშვილი სამი კვიპროსული გოლით ნაკრებში მოხვდა

შვიდი გოლი და ერთი დებიუტი — ასეთია ამ უქმეების ქართული მონაგარი ევროპაში. უფრო დაზუსტებით, შვიდი გოლიდან ოთხი სადებიუტო იყო — ვლადიმერ კაკაშვილმა და კლიმენტი წიტაიშვილმა პირველად გაიტანეს თავიანთ კლუბებში. თუმც გამოსარჩევი სხვაც იყო...

ლევან ქებაძე

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	ს	ლეჩე 1:1	90		2	0	1
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	ს	კოლნი 2:0	90		19	0	7
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 2:3	90		19	6	11
ლევან ცქიტიშვილი	ფრაიბურგი	შ	ჰერტა 2:3	12	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	16	2	11
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
ხვიჩა შუბითიძე	აუე	ს	უნიონი 0:3	90		19	6	13
დავით სირაძე	უნიონი	შ	აუე 3:0	1	შეცვლაზე ითამაშა	2	0	17
შოტლანდია. პრემიერლიგა								
შოთა არველაძე	რეინჯერსი	ს	აბერდინი 1:1	90		15	11	2
ზურაბ ხიზანიშვილი	რეინჯერსი	ს	აბერდინი 1:1	0	ტრავმირებულია	15	0	2
ჰოლანდია. პირველი დივიზიონი								
გოგა გახოკიძე	ტვენტე	ს	პსვ 0:1	71	შეცვალეს	20	1	6
შვეიცარია. სუპერლიგა								
მიხეილ ყაველაშვილი	აარაუ	შ	ციურიხი 2:4	67	შეცვალეს	10	0	6
ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა								
ამირან მუჯირი	ცსკა	ს	ნაფტექსი 3:3	0		0	0	3
ავთანდილ გვიანიძე	ბოტევი	ს	როდოპა 1:2	0		4	0	16
ვლადიმერ კაკაშვილი	ჩერნო მორე	შ	მარეკი 3:0	90	1 გოლი	4	1	11
კვიპროსი. პირველი დივიზიონი								
თემურ ქეცბაია	ანართოსისი	შ	პარალიმნი 3:1	60	შეცვალეს	15	5	4
კლიმენტი წიტაშვილი	ანართოსისი	შ	პარალიმნი 3:1	68	3 გოლი, შეცვალეს	2	3	4
გიორგი გაბიდაური	ანართოსისი	შ	პარალიმნი 3:1	90		3	1	4
ლევან ქებაძე	პარალიმნი	ს	ანართოსისი 1:3	30	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	11	9	8
ლევან მაღრაძე	აელ	ს	დოჰა 2:0	90	1 გოლი	13	3	5
გიორგი ქორიძე	ონისილოსი	ს	აპოელი 0:3	90		14	7	13

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

კვიპროსული შანსი

სადაც სხვისა, იქაც ქეგანეიისა

ცხადია, ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნო მილანელი კახა კალაძის დაბრუნებაა. იტალიური გრანდის ქართველ მცველს სერია A-ს პირველი წრე მძიმე ტრავმის გამო გაუცდა და გუშინწინ ოდენ მეორე მატჩი ითამაშა. „მილანმა“ ლეჩეში 1:1-ით ოქროს ქულები დაკარგა, თუმც კალაძეს ამაში ბრალი არ მიუძღვის. საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელმა საკმაოდ კარგად ითამაშა, მით უმეტეს, ასეთი ტრავმის შემდეგ.

წლეულს პირველად გამოჩნდა მოედანზე ლევან ცქიტიშვილიც. მისმა „ფრაიბურგმა“ შინ 2:3 წააგო „ჰერტასთან“, მატჩის მიწურულს კი პენალტით სწორედ „ცქიტომ“ იხეირა. სრულად და აქტიურად ითამაშა ალექსანდრე იაშვილმა.

ახლა დებიუტებზეც: შვეიცარიის სუპერლიგაში მიხეილ ყაველაშვილი დაბრუნდა. „ციურიხის“ ოდინდელ მეგოლეს აარაული დებიუტი სწორედ მის ყოფილ კლუბთან გამოუვიდა. ციურიხელებმა 4:2 მოუგეს „აარაუს“, ყაველაშვილი კი მწვრთნელმა 67-ე წუთზე შეცვალა. გეხსომებათ, აქამდე ჩვენებური რანგით დაბალ, ჩელენჯლიგელ „სიონში“ ირიცხებოდა.

თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილმა მცველმა ვლადიმერ კაკაშვილმა ბულგარეთში პირველად გაიტანა — „ჩერნო მორემ“ ამის შემდეგ კიდევ ორი გოლით დაამწუხრა „მარეკი“ და 3:0 მოიგო. მარეკელთა დაძაბუნება გასაკვირი სულაც არაა — ამ გუნდის სული და გული ამირან მუჯირი ხომ ნაახალწლევს სოფიურ ცსკა-ში გადავიდა.

ქართველებმა კვიპროსზეც მაგრად იგოლავეს. „ანართოსის“ — „პარალიმნის“ მატჩში კი გოლები სულაც მხოლოდ ჩვენებურებს გაჰქონდათ. სამი გოლის გამტანი კლიმენტი წიტაიშვილი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იქამდე თავად შეცვლილმა მწვრთნელ-მოთამაშე თემურ ქეცბაიამ კი 68-ე წუთზე კლიმენტიც დაასვენა. მიზეზი გასაგებია, წიტაიშვილი ქეცბაიას რეკომენდაციით საქართველოს ნაკრებში კვიპროსულ ტურნირზე სათამაშოდაა მიწვეული. ისე, სადაც წიტაიშვილ-გაბიდაურ-მაღრაძის ნაკრებში გამოძახებაზეა ლაპარაკი, იქ ლევან ქებაძეზეც არ შეიძლება თვალის დახუჭვა. „პარალიმნის“ ქართველი თავდამსხმელი „ანართოსისთან“ მატჩში მე-60 წუთზე ჩაერთო და დარჩენილ დროშიც შეძლო გოლის გატანა, რაც მისთვის მეცხრეა 11 თამაშში. ვფიქრობთ, ქებაძის მაჩვენებელი მცირე ყურადღებას მაინც იმსახურებს.

ნაკრებში მიწვევით სტიმულმიცემულ ლევან მაღრაძეს კი ზედიზედ მეორე მატჩია, გოლი გააქვს. აელ-მა 2:0 მოუგო აუტსაიდერ „დოჰას“ და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილამდე აინაცვლა.

მაგრად იჭიდავა გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ჩემპიონატის ფავორიტ პსვ-სთან. გახოკიძემ კვლავაც ძირითადში ითამაშა და მისი მოედანზე ყოფნისას ფავორიტი მასპინძელი ვერაფერს უხერხებდა ენსხედელებს. „ტვენტე“ სასურველ ფრესთან ახლოსაც იყო, მაგრამ მცველების შეცდომით ზედ საფინალო სასტვენის წინ გატყდა.

შოტლანდიაში კი ზურაბ ხიზანიშვილმა წელის ტკივილის გამო გამოტოვა მორიგი პრემიერლიგური ტური.

კახა შალამბერიძე

ზამთრის შესვენების შემდეგ განახლებულ ბუნდესლიგაში იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ იმით გამოირჩა, რომ პირველსავე შეხვედრაში „ლევერკუზენს“ მოუგო, მაგრამ შემდეგ ორივე მომდევნო მატჩი წააგო, ბოლოს შინ 2:3 დამარცხდა ბერლინის „ჰერტასთან“. ლევან ცქიტიშვილმა 87-ე წუთზე 11-მეტრიანი გაიტანა და „ფრაიბურგს“ მარცხიანი ანგარიში მცირედით გამოუკეთა.

ცქიტიშვილს ჯერ „ჰერტასთან“ მატჩზე ვკითხეთ...

ლევან ცქიტიშვილი:

დღე იყო ჰერტული

— ბერლინელებთან 0:3-ს აგებდით და ორი გოლი მერეღა გაიტანეთ — რით ახსნი ამას?

— „ჰერტა“ ამ მატჩამდე ბოლო ადგილზე იყო, მაგრამ ისეთი გუნდია, ყოველ წუთს შეუძლია მოუმატოს. ჩვენი წარუმატებლობაც ალბათ იმის ბრალია, რომ ის დღე, უბრალოდ, „ჰერტასი“ იყო.

— ბოლო ორი მატჩი წააგეთ — ეს იმას ნიშნავს, რომ „ფრაიბურგის“ მთავარი საზრუნავი არგავარდნა იქნება?

— ძნელი სათქმელია. აქამდე ისე იყო, რომ გასვლაზე ცუდად ვთამაშობდით, სახლში კარგად, მაგრამ, აგერ, ახლა შინ დავმარცხდით. სიტუაცია უნდა გამოვასწოროთ.

— „ფრაიბურგი“ მე-16 ადგილზე მყოფ „ლაუტერნს“ ექვსი ქულით უსწრებს ანუ გასავარდნ ზონას არცთუ ბევრი აშორებს...

— ჯერჯერობით, გავარდნის საფრთხე გვემუქრებაო, ვერ ვიტყვით. მაგრამ თუ ასე გავაგრძელეთ, ექვსი ქულა ორი თამაშში განეიტრალდება — ორი წაგებაც და შეიძლება, ყველაფერი შეიცვალოს.

— ტრავმის შემდეგ „ჰერტასთან“ პირველი ოფიციალური მატჩი ითამაშე...

— მენისკის ოპერაცია 7 იანვარს გავიკეთე და თამაშმა ახლაღა მომიწია, თუმც „ჰერტასთან“ სულ რაღაც თხუთმეტი წუთი თუ ვიყავი მოედანზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ თავს ახლა ჯანმრთელად ვგრძნობ.

— „ჰერტასთან“ 11-მეტრიანით გაიტანე — „ფრაიბურგში“ პენალტისტი ახლა შენ ხარ?

— ჩვენთან წინასწარ არაა დათქმული, ვინ დაარტყამს 11-მეტრიანს — ვინც კარგად, მხნედ გრძნობს თავს, პენალტსაც ის ასრულებს. აქამდე ერთი 11-მეტრიანი უკვე მქონდა გატანილი „ფრაიბურგში“ და ახლა მეორე შევაგდე.

— ბუნდესლიგაში მე-6-მე-7 ადგილებზე ქვევით მყოფი გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან?

— ეგრეა, მაგრამ გავარდნა იმათ უფრო ემუქრებათ, ვისაც ახლა ჩვენზე ანუ 24 ქულაზე ნაკლები მოუგროვებია. ჩვენთვის მთავარია, შინ კარგად ვითამაშოთ და მოვიგოთ და ყველაფერი კარგად იქნება.

— გერმანიაში რას ამბობენ, ჩემპიონი „ვერდერი“ გახდებაო?

— ბრემენელები „ბაიერნს“ ცხრა ქულით უსწრებენ და ეს საკმაოდ დიდი სხვაობაა. გერმანიაშიც ამბობენ, ჩემპიონი ალბათ „ვერდერი“ გახდებაო, ხოლო „ბაიერნს“ მწავავედ აკრიტიკებენ. კრიტიკა ამ გუნდის მიმართ იმ შემთხვევაში ჩაწყნარდება, თუ „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგაზე „რეალთან“ წარმატებით ითამაშებს.

— ეროვნული ნაკრების მწვრთნელად საცაა ანატოლი ბოშოვეცს დანიშნავენ — ცნობილ ევროპელ მწვრთნელს ჯერაც ვერ ველირსეთ...

— შესაძლოა, საბჭოთა მწვრთნელმა ჩვენი ავან-ჩავანი უკეთ იცოდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, ევროპელი მწვრთნელის დანიშვნა აჯობებდა.

დავით თავართქილაძე



ბეტარინიმ ცოლს აჯობა

ტრაპატონი დიდებისგან სამ-სამს მიიღებს

ჯოვანი ტრაპატონიმ სანაკრებოდ სტეფანო ბეტარინისაც უხმო

ჩეხეთის ნაკრებთან სათამაშოდ ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა აძურაში“ სხვებთან ერთად სამპდორიელები სტეფანო ბეტარინი და სერჯო ვოლპი, აგრეთვე პარმელი სიმონე ბარონე მიიწვია. საინტერესოა, რომ ბეტარინი ეროვნულ გუნდში პირველადაა, არადა, იგი არც მეტი, არც ნაკლები, 32 წლის გახლავთ. ეს მცველი, საერთოდ, თავის ფეხბურთზე მეტად ტელევარსკვლავი მეუღლით არის ცნობილი, მაგრამ ამ სეზონში, როგორც ჩანს, ცოლთან გაჯიბრება გადაწყვიტა და „ვალენსიას“ მიწვევაზე უარის თქმის შემდეგ სერია A-ში იბრწყინა და იბრწყინა.

„სამპდორიას“ 4-4-2 სისტემაში განაპირა ნახევარმცველობით გამოიჩინა თავი სერჯო ვოლპიმაც, ხოლო პარმელი სიმონე ბარონე მას მერე გამოჩნდა როგორც ნიჭიერი ნახევარმცველი, რაც დისკვალიფიცირებული მანუელე ბლაზის ადგილი ანდეს.

რაც შეეხებათ დიდ კლუბებს, უპირველეს ყოვლისა კი „მილანს“, საქმე ასეა: მოგეხსენებათ, “შავწითელთა“ მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ ნაკრების წინააღმდეგ დიდი ლაშქრობა მოაწყო, განაცხადა, რომ სეზონის ამ კულმინაციურ და უმნიშვნელოვანეს მონაკვეთში „სკუადრა აძურას“ მოთამაშეებს აღ დაუთმობს და მას მერე საკითხი სხვაგვარად მოატრიალეს. მსჯელობის შედეგად საუკეთესო გამოსავლად ქვოტის დადგენა მიიჩნიეს — ყოველ შეხვედრაში, ეგრეთ წოდებული დიდი გუნდები სამ-სამი კაცით წარსდგებიან. კერძოდ, „მილანს“ ჩეხების წინააღმდეგ მივლინებული ეყოლება ალესანდრო ნესტა, ჯუზეპე პანკარო და ანდრეა პირლო.

ტრაპატონისთვის სასურველ მოთამაშეთაგან დაშავებულნი არიან „ინტერის“ ფაბიო კანავარო და „მილანის“ ფილიპო ინძაგი.

პაპუნა კედია

რუნის გზები

მანჩესტერში ბიჭს თვალი დაადგეს

უეინ რუნის მომავალი იმის მიხედვით გაირკვევა, თუ როგორ დაამთავრებს მისი „ევერტონი“ წლევანდელ პრემიერლიგას. თუ „ევერტონი“ გავარდება, მაშინ ინგლისის საუკეთესო ყმანვილისთვის 25 მილიონ გირვანქიან ბრძოლაში „ჩელსი“ და „მანჩესტერი“ ჩაებმებიან

„მანჩესტერს“ თვალი უჭირავს ბიჭზე, რომელსაც არცთუ იოლი ურთიერთობა აქვს მენეჯერ დეივიდ მოიესთან. ამ ურთიერთობაში ბოლო წვეთი შესაძლოა, სწორედ გავარდნა იყოს. რუნი ერთადერთი ძვირადღირებული ფეხბურთელია „ევერტონში“, რომელთანაც ორწლიანი კონტრაქტი და კვირაში 13 ათასიანი ხელფასი აკავშირებს.

მისი კონტრაქტის განახლებაზე ლაპარაკი დაწყებული იყო, მაგრამ „მანჩესტერის“ მოულოდნელმა ინტერესმა ეს საქმე შეაჩერა.

სერ ალექს ფერგიუსონს ამასწინანდელ მატჩში მოსწონებია რუნი, რომელმაც „მანჩესტერის“ დაცვა აიკლო. მანჩესტერელთა სხვა უფროსებიც ურჩევენ მენეჯერს, რომ რუნიზე ვაჭრობა გასწიოს. კიდევ ერთი მიზეზი ამ სურვილისა ის არის, რომ რუნი „ნაიკის“ ერთ-ერთი სახეა, „ნაიკი“ კი „მანჩესტერის“ საყრდენი.

„ევერტონი“ სიმკაცრეს ინარჩუნებს ამ საკითხში, თუმცა, მისი ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმე სავსებით რეალურია.

ირაკლი გამყრელიძე

ალექს ფერგიუსონი ჯონ მანიეს და მის ცოლს, სიუს ამ ცხენს აღარ ეცილება

ფერგი ცხენს ივიწყებს და გუნდს იხსენებს

სერ ალექსმა სასამართლო გადაიფიქრა

სერ ალექს ფერგიუსონმა მგონი, წაგო ბრძოლა „მანჩესტერის“ ერთ-ერთ მთავარ მეწილესთან, ცხენოსნობის მაგნატ ჯონ მანიესთან. მენეჯერი დათანხმდა, რომ შეწყვეტს სასამართლო პროცესს მანიეს წინააღმდეგ და განთქმული ცხენის, „როკ ოფ ჯიბრალტარის“ სანახევრო წილის გამო დაწერილ საჩივარს უკან გამოითხოვს. ამის სანაცვლოდ, ის არ გადაიხდის ცხენის დაზღვევის ფულს, 80 ათას გირვანქას, რაც ადრევე შესთავაზა მანიემ.

მოკლედ გავიხსენოთ საქმის არსი: რამდენიმე წლის წინ 2 წლის იმედისმომცემი ცხენი „როკ ოფ ჯიბრალტარი“ მანიემ სანახევროდ აჩუქა ფერგიუსონს, მეორე ნახევარი კი თავის ცოლ სიუს დაუტოვა. ეს ჩუქება იმას გულისხმობდა, რომ ცხენის მიერ მოგებული პრიზების ნახევარი სერ ალექსს შეხვდებოდა. „როკმა“ მართლაც მოიგო რამდენიმე მილიონი და ცხენოსნობის მოყვარე, მაგრამ ღრმად არმცოდნე ფერგიუსონმა შეიტყო, რომ პრიზების მომგებ ცხენს, გადადგომის შემდეგ მეტი ფულის მოტანა შეუძლია, ვიდრე ჯირითობისას. მისგან ფაშატის განაყოფიერებით და შთამომავლობის მიღებით დიდი ფული კეთდება. „როკ ოფ ჯიბრალტარი“ სავარაუდოდ, 200 მილიონ გირვანქას მოიტანს. ჰოდა, მენეჯერმაც გადაწყვიტა, ებრძოლა, ეს ცხენი სანახევროდ მისი სიცოცხლის ბოლომდე მაჩუქესო, რაც მანიემ იუარა — მხოლოდ ჯირითის წილი ვუსახსოვრეო. საქმე სასამართლომდე მივიდა, ხოლო მანიემ და მისმა კომპანიონმა მაკმანუსმა „მანჩესტერში“ თავისი 29-პროცენტიანი წილი გამოიყენეს, კლუბს ფერგიუსონთან ახალი ოთხწლიანი კონტრაქტი ჩაუშალეს და კერძო ბიუროს ფერგიუსონის სატრანსფერო პოლიტიკის გამოძიება დააწყებინეს. ეს გუნდსაც გვარიანად დაეტყო და ფანებმა მანიესა და მაკმანუსის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

თუ ფერგიუსონი დუბლინში აღძრულ საქმეს შეწყვეტს, ის 100 მილიონ გირვანქას დაკარგავს, კლუბში კი ვითარება ჩაწყნარდება. ასე რომ, მილიარდერებთან ბრძოლა ძნელია.

ირაკლი გამყრელიძე

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXIV ტური

რეალი 1:1 ვალენსია

0:1 აიალა (74), 1:1 ფიგუ (90პ)

რეალი: კასილიასი, სალგადო, რაულ ბრავო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი, გუტი, სოლარი (პორტილიო 78), რაული, რონალდო

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში

ვალენსია: კანისარესი, გარიდო, რ. აიალა, მარჩენა, კარბონი, ალბელდა, ბარახა, ანგულო (რუფეტე 78), აიმარი (კურო ტორესი 90), ვისენტე, მისტა (ოლივეირა 66)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: მარჩენა, გუტი, სალგადო, ალბელდა, ბექემი, გარიდო, ფიგუ

მსაჯი: ტრისტანტე ოლივა

78 000 მაყურებელი

რეალის დამარცხება აკრძალულია!

ვალენსიას შარშანწინდელი ჩემპიონობისთვის სჯიან

REUTERS მაფრინდიდან

კარლოს მარჩენასა და რაულის ამ ჭიდილს ის პენალტი მოჰყვა, მთელი ესპანეთი რომ აალაპარაკა

სხვა რომ არაფერი, ცხრილში ჩახედვითაც ნათლად ჩანს ამ მატჩის მნიშვნელობა. სწორედ ამ საცხრილო ამბების გამო, ლუიშ ფიგუს წამატებულ დროში გატანილ პენალტს განსაკუთრებული აურზაური მოჰყვა. თუმცა თავიდან დავიწყოთ.

„ვალენსიამ" მასპინძლები თავიდანვე წნეხში მოაქცია, რაც უთუოდ სწორი ტაქტიკა იყო — „რეალთან" მხოლოდ დაცვაზე და გოლის არგაშვებაზე თუ იფიქრე, აუცილებლად გაგიტანს.

„რეალმა" წნეხს გაუძლო და რაკი გოლის გატანა შეტევის გარეშე შეუძლებელია, თავადაც მიაწვა. მასპინძელთა შეტევებს ვალენსიელთა დაცვა მთლად კარგად ვერ უმკლავდებოდა, მაგრამ მეკარე სანტიაგო კანისარესი შეუდარებელი იყო და რაულის და მიჩელ სალგადოს რთული ბურთები მოიგერია. სტუმართა გუნდიდან კი დედაქალაქელებს მალიმალ აწუხებდნენ მისტა, ვისენტე და პაბლო აიმარი.

თამაშის დასრულებამდე 15 წუთით ადრე ნავსი რობერტო აიალამ გატეხა, ვინაც ივან ელგერას დაასწრო და კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა.

ამ გოლით „რეალს" ამ სეზონში პირველი საშინაო მარცხი დაემუქრა. „რეალი" ცხადია, შტურმზე გადავიდა, რომლის დროსაც დევიდ ბექემმა და გუტიმ სეზონში მეხუთე გაფრთხილებები მიიღეს, რომელთა გამოც მომდევნო მატჩს, ბარსელონაში „ესპანიოლთან" გამოტოვებენ.

90 წუთიც მიიწურა, „რეალი" კი გათანაბრებას ვერ ახერხებდა. წამატებულ დროში კი რაული სტუმართა საჯარიმოში წაიქცა. ესაჯმა განსაჯა, რომ რაულს წაქცევაში ხელი „ამოუბერა" და პენალტი დანიშნა, რომელიც ლუიშ ფიგუ ვოლად აქცია. ამგვარად, ლიდერთა მატჩი ფრედ დასრულდა და „რეალმა" ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

თუმცა მთავარი ის არის, რომ ბოლო წამებზე დანიშნული პენალტი ფრიად საეჭვოდ გამოიყურებოდა. ამას კი შეუძლებელია, ხმაური არ გამოეწვია. ვალენსიელთა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა თქვა, ორი წლის წინ ჩემპიონები რომ გავხდით, იმას არ გვპატიობენო. კლუბის პრეზიდენტმა ხაიმე ორტიმ კი ირონიულად შენიშნა, ბევრჯერ გამეგონა, ახლა კი თავად დავრწმუნდი, რომ „რეალის" დამარცხება დანაშაულად ითვლებაო.

კოტე კეკელია

რეალი	24	16	5	3	46:25	53
ვალენსია	24	15	6	3	46:17	51
დეპორტივო	24	15	4	5	41:17	49
ბარსელონა	24	11	7	6	38:28	40
ბილბაო	24	10	7	7	31:28	37
ვილიარეალი	24	10	6	8	35:30	36
ატლეტიკო	24	10	6	8	31:31	36
ბეტისი	24	9	8	7	32:26	35
ოსასუნა	24	8	10	6	24:21	34
სევილია	24	8	7	9	34:27	31
სოსიედადი	24	8	7	9	30:35	31
რასინგი	24	8	6	10	32:38	30
მალაგა	24	9	2	13	33:40	29
ვალიადოლიდი	24	7	8	9	28:35	29
მალიორკა	24	8	4	12	28:42	28
სელტა	24	6	9	9	34:41	27
ალბასეტე	24	6	5	13	23:34	23
სარაგოსა	24	6	5	13	23:35	23
ესპანიოლი	24	6	2	16	22:43	20
მურსია	24	2	10	12	22:40	16

იტალია

სერია A. XXI ტური

იუვენტუსი 1:0 რეჯინა

1:0 მარესკა (51)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ლეგროტალიე, ჰესოტო (ფერარა 80), ძამბროტა, ა. კონტე, ტაკინარდი, მარესკა (აპია 55), ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (მიკოლი 60)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

რეჯინა: ბელარდი, კომოტო, ი. ფრანჩესკინი, სოტილი, ტორიზი, მესტო, ტედესკო, ფალზინი, კოცა, სტელონე (დალ აკუა 81), ბონაცოლი

მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე

გაფრთხილება: ტედესკო, დელ პიერო, ტაკინარდი, ფრანჩესკინი

მსაჯი: ბერტინი

30 000 მაყურებელი

წინ ცამეტი და ოცდაოთხია

რეჯინელი თითქმის სტალონე

„იუვენტუსმა" „რეჯინას" მოუგო 1:0. ეს გახლდათ 21-ე იტალიური ტურის ბოლო, ღამის მატჩი, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ „მილანი" ტურინელებს რვა ქულით კი აღარ უსწრებს, არამედ ექვსით. ექვსი ქულა, ბუნებრივია, ბევრია, მაგრამ ბევრია ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილი ტურების რაოდენობაც — ცამეტი და პლუს მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 24-ე ტურში „მილანი" „დელე ალპიზე" ჩადის, რითაც „ბებერი ქალბატონი" თუ ისარგებლებს, შესაძლოა, ამ ორ გუნდს შორის ქულათა სხვაობა (რომელიც იმ დროისთვის როგორი იქნება არავინ იცის) კიდევ სამი ქულით შეიცვალოს ჩემპიონის სასარგებლოდ.

მაგრამ ეს ყველაფერი თეორიული მსჯელობა, უფრო სწორად კი მრავალი შესაძლო ვარიანტიდან ყურადღების მხოლოდ ერთზე გამახვილებაა, მაშინ როდესაც „მილანიცა" და „იუვენტუსიც" უახლოეს ხანს თანაბრად უნდა დაიღალონ როგორც სერია A-ში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. გარდა ამისა, იმ „დელე ალპიზე" „მილანმა" რომ მოიგოს (ჯერ ასე შორეულ 24-ე ტურში) გასაკვირი არ იქნება და საერთოდაც, ნუ დავივიწყებთ კბილებალესილ „რომას", რომელიც ამწუთას „იუვეზე" ერთი ქულით წინ არის და ჩემპიონთა ლიგაშიც არ თამაშობს, ანუ „მილანსა" და „ბებერ ქალბატონზე" ნაკლები დაღლადამტვრევა ელის.

ასე და ამგვარად, იტალიის პირველობა მრავალ დრამატულ ისტორიას გვპირდება, ჩვენ კი ამასობაში ერთი თამაშის მიმოხილვას აზრითაც გავცდით და საგაზეთო ფართობითაც, ამიტომ დავბრუნდეთ „დელე ალპიზე", სადაც „რეჯინასთან" შეხვედრაში მასპინძლებს დაშავებული დავიდ ტრეზეგე და მაურო კამორანეზი არ ჰყავდათ. დაცვაში არ თამაშობდა წინა ტურში ფრანჩესკო ტოტიზე ნადირობისთვის გაძევებული ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო, თუმცა მოედანს დაუბრუნდა ალესანდრო დელ პიერო და თავდასხმაში მარკო დი ვაიოს ამოუდგა მხარში.

„რეჯინას" არ ჰყავდნენ დავიდე დე მიკელე და სანაკრებო თამაშზე იაპონიაში (!) გაფრენილი შუნსუკე ნაკამურა, ასე რომ, ემილიანი ბონაცოლისთან წყვილში თითქმის სილვესტერ სტალონე, რობერტო სტელონე გამოვიდა. საინტერესოა, რომ „რეჯინას" მწვრთნელს, ჯანკარლო კამოლეზეს, რომელიც ადრე „ტორინოს" წვრთნიდა, მარჩელო ლიპისთან აქამდე თამაში არ წაეგო.

შეხვედრის საერთო სურათი ასეთი გახლდათ: „იუვენტუსი" მთელი 90 წუთის განმავლობაში უტევდა, ხოლო „რეჯინა" თავს იცავდა და შიგადაშიგ კონტრშეტევას ცდილობდა. ამ კონტრშეტევების დროს თუ „იუვეს" ბოლო დროს მოფამფალებული დაცვა შეცდებოდა, რეჯინელები გოლის გასატანად მიიწევდნენ, ხოლო თუ არა, ისევ მასპინძელთა შეტევა იწყებოდა, რაც, ბუნებრივია, გაცილებით ხშირად ხდებოდა.

რაც შეეხება „რეჯინას" კარს, მასში ამ დღეს ორჯერ შევარდა ბურთი. პირველად, როდესაც პაველ ნედვედის ჩაწოდებულს დელ პიერო ჰაერში შეეგება და თავი ჰკრა, მაგრამ მარჯვენა ხელი რაღაცნაირად გაშვერილი დარჩა და მსაჯმა ბერტინიმ მიიჩნია, რომ გოლი ხელით გავიდა, ფეხბურთელს ყვითელი ბარათიც ამოუღო და ცხადია, არც გოლი ჩათვალა. მეორედ კი, როდესაც მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებული ბურთი მარკო დი ვაიომ მეკარე ემანუელე ბელარდის ვერ გაუტანა, მაგრამ ის კარგად მოთამაშე ენცო მარესკას მიუვიდა და მისი დარტყმის შედეგად ჯერ ორივე ძელს მოხვდა, შემდეგ კი კარში შევარდა.

მარკო დი ვაიოს ეს დარტყმა ემანუელე ბელარდმა გაჰირვებით, მაგრამ მაინც მოიგერია

პაპუნა კედია

მილანი	21	16	4	1	40:11	52
რომა	21	14	5	2	41:9	47
იუვენტუსი	21	14	4	3	43:25	46
ლაციო	21	12	3	6	33:22	39
ინტერი	21	10	6	5	36:17	36
პარმა	21	10	6	5	30:25	36
უდინეზე	21	9	6	6	25:23	33
სამპდორია	21	7	9	5	26:24	30
კიევო	21	8	4	9	25:26	28
ბოლონია	21	6	7	8	23:28	25
ბრეშა	21	5	9	7	29:33	24
მოდენა	21	5	7	9	17:27	22
სიენა	21	5	6	10	28:30	21
რეჯინა	21	4	9	8	18:31	21
ლეჩე	21	5	4	12	25:38	19
ემპოლი	21	4	4	13	15:38	16
პერუჯა	21	0	11	10	23:39	11
ანკონა	21	0	6	15	8:39	6

რაული მკვლელი და მსახიობია

პენალტით დასჯილი ვალენსიელები რონალდოსაც შეეცოდა

პრიმერადივიზიონის 24-ე ტურის შეხვედრებმა ესპანურ მედიაში ჩვეულებისამებრ დიდი გამოძახილი ჰპოვა, მაგრამ „რეალ“ — „ვალენსიას“ უშედავათო მატჩის ქრონიკამ (თუ ინტრიგამ) მაინც გამორჩეული ადგილი დაიჭირა

თქმა არ უნდა, ყველა ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი გაზეთი მსაჯ ტრისტანტე ოლივას მიერ 90-ე წუთზე ვალენსიელი კანისარესის კართან დანიშნულ პენალტზე ბჭობდა, რომლის მეშვეობითაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დამარცხება-შერცხვენისგან თავი გადაირჩინა. თვით ისეთი მადრიდულად მეხოტბენი, როგორიც „მარკა“ და „ასი“ არიან, გულწრფელად აღიარებენ ოლივას საბედისწერო შეცდომას და დასძენენ, რომ ასეთი საპასუხისმგებლო შეხვედრის მსაჯს უფრო მეტი ყურადღება მართებდა.

„მარკას“ გუშინდელ თავფურცელზე მოთავსებულია ვალენსიელი მარჩენასა და მადრიდელი რაულის შეჭიდების ფოტო შესაბამისი წარწერით — „უცნაური პენალტი“. იქვე შეგიძლიათ, გაეცნოთ საკვირაო ომის მონაწილე პატივცემულ სენიორთა მოსაზრებებს, რომელთაგან ორი აშკარად თვალში საცემია. ხაიმე ორტი, „ვალენსიას“ პრეზიდენტი: „მსაჯმა უღვთოდ გაგვწირა, მაგრამ არა უშავს, მადრიდელთა ფარული თაყვანისმცემლებისგან უარესებსაც ვართ მიჩვეული“.

რონალდო: „ჩემი აზრით, საეჭვო პენალტი იყო. მე რომ „ვალენსიაში“ ვთამაშობდე, გული მეტკინებოდა, თითქმის მოგებულ მატჩს უკანასკნელ წამებზე თერთმეტმეტრიანით თუ დამათმობინებდნენ“.

კასტილიური „ასის“ გარეკანზე კი ზუსტად ივივე ფოტოა, ოღონდ უფრო მოკლე წარწერით — „პენალტი!!!“ „ოლივას“ შეხვედრის გაფუჭებაში მეტისმეტად ბრალს ნუ დავდებთ, თუმცა სერიოზული შეცდომები აშკარად ჰქონდა“ — მსჯელობს მავანი ასელი კორესპონდენტი.

რაც შეეხება კატალონიურ მედიას, აქ სრული ერთსულოვნებაა — „სპორტმა“ რაულს მკვლელ-მსახიობი უწოდა და 24-ე ტურის მიმოხილვას შთამბეჭდავი სათაური შეურჩია: „ვალენსია გაქურდეს!“. აღშფოთებას არც „ელ მუნდო დეპორტივო“ მალავს: კი, ბატონო, ლიდერობა „რეალმა“ დაიტოვა, მაგრამ ამ ბოლო დროს ასე გახშირებულ მსაჯთა შეცდომებს საქმეებს რაღა ვუყოთ? მსაჯები ჯერ უნდა დაფიქრდნენ, სანამ მსგავს გადაწყვეტილებას მიიღებენ“.

ლადო ხომერიკი

ტრისტანტე ოლივას დანიშნულმა პენალტმა ვალენსიელები, ცხადია, გააცოფა. ესპანურმა „მარკამაც“ ოლივას გადაწყვეტილება საეჭვოდ მიიჩნია

ზიდანი სამუდამოდ

ლეგენდა დაბერდა, ლეგენდად იმუშავე ზიზუ

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის, ფლორენტინო პერესის გონებაში ახალმა იდეამ გაიელვა — რა მოხდება, ზინედინ ზიდანი რომ...

არა, ცხადია, რომ ფეხბურთელი არ შეიძლება ორმოცდაათ წლამდე მოედანზე გყავდეს, ასეთი მხოლოდ სერ სტენლი მეტიუზი იყო. მაგრამ არის სხვა მაგალითებიც, თუნდაც სერ ბობი ჩარლტონისა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედში“ სერ ბობად მუშაობს, ანუ მისი ფუნქცია ის არის, რომ ახალგაზრდა იუნაიტედელებს დაენახოს და უთხრას, აი, შვილებო, მე თავის დროზე... და ასე შემდეგ.

ფლორენტინო პერესსაც რაღაც ამის მსგავსი აქვს ჩაფიქრებული. სურს, რომ ზიდანი ფეხბურთელის კარიერის დასრულების მერეც „რეალში“ დარჩეს და მომავალი თაობის რეალელებისთვის ცოცხალ ლეგენდად იმუშავოს.

ერთი ხანობა, პერესს ზიდანისთვის „რეალის“ ბავშვთა სკოლაში მწვრთნელობის შეთავაზება სურდა, მაგრამ ალჟირელმა ფრანგმა ისეთი უარი სტკიცა, უმალ გადაიფიქრა. ლეგენდად მუშაობა კი სხვა საქმეა, დამღლელიც არ არის. თან ძველი ლეგენდა ალფრედო დი სტეფანო გვარიანად მოხუცდა.

იქამდე კი პერესი ზიდანისთვის კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებას აპირებს. ზიდანის კონტრაქტს ვადა 2006 წელს გასდის. 2007 წლამდეო და, მერე ლეგენდად იმუშავოსო — ასეთია პერესის ჩანაფიქრი.

კოტე კეკელია

სცენარი არ უნდა შეიცვალოს

ლუის გარსიამ წარსულს გაუტანა

ახალგაზრდა ბარსელმა ლუის გარსიამ საამსეზონო პრიმერაში თავისი პირველი გოლი გაიტანა — გუშინწინ „კამპ ნოუზე“ მომხვდურ „ატლეტიკოს“ მესამე ბურთი მან შეუგდო. ოდინდელ ატლეტიკოელს ახლანდელი „ბარსელონა“ მოსწონს, გუნდის სამომავლო წარმატებებშიც დარწმუნებულია და არგენტინელი თანაგუნდელის, ხავიერ პედრო სავიოლას ნიჭიერებაზე ხაზგასმით ლაპარაკობს. გარსიას ესპანური „ლიბრედირექტო“ ნამატჩევს ესაუბრა

— სამი ქულა, შესანიშნავი მატჩი, პრიმერადივიზიონში პირველი გოლი... ალბათ „კამპ ნოუს“ საკვირაო შეხვედრით კმაყოფილი იქნებით?

— ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ნანატრი გოლი სწორედ ჩემს ყოფილ გუნდს, მადრიდის „ატლეტიკოს“ გავუტანე. ეს სამი ქულა კი „ბარსასთვის“ უაღრესად საჭირო იყო. „ათლეტებთან“ გამარჯვება საშუალებას მოგვცემს, სატურნირო ცხრილში უფრო დავწინაურდეთ. გუნდი მთელი ორი ტაიმის განმავლობაში იბრძოდა. მიუხედავად იმისა, რომ დავიდსის გაძევების გამო მეორე ნახევარში კაცნაკლულნი დავრჩით, მაინც დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ.

— „ბარსელონა“ დროთა განმავლობაში სწრაფად იზრდება. ნათლად ჩანდა, რომ 24-ე ტურში ადრინდელზე უკეთ ირჯებოდით...

— ოდნავ დავაზუსტებდი თქვენს ნათქვამს — სჯობს, სიტყვა „ადრინდელი“ სეზონის პირველი წრით ჩავანაცვლოთ. უკანასკნელი 5 მატჩის განმავლობაში ჩვენთან ყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი უკეთესობისკენაა — ბურთისთვის ბრძოლა, სწორი ტაქტიკა, ფეხბურთელთა მეომრული სული, ოპტიმიზმი. თავად განსაჯეთ, როდესაც მადრიდელებმა ანგარიში გაათანაბრეს, „ბარსელონამ“ ზუსტად მაშინ წამოიწყო საკუთარი თამაში და მიზანსაც მიაღწია.

— მატჩის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა. თქვენი და თქვენი თანაგუნდელების საგოლე იშტაზე რას იტყოდით?

— სამივე ჩვენი გოლი მნიშვნელოვანი და ლამაზი იყო, თუმცა გული არც თამაშის მსვლელობაზე მწყდება — მეტოქე ლამაზ, ეფექტურ და ელეგანტურ სტილში დავამარცხეთ.

— სწორედ ასეთი ბურთაობის შემხედვარე „კამპ ნოუ“ ანგარიშში უფრო დიდ სხვაობასაც ელოდა...

— ინჩასებს ამისთვის საკმარისი საფუძველიც ჰქონდათ. ნამდვილად შეგვეძლო კიდევ, სულ მცირე, ორი ბურთის შეგდება, მაგრამ რახან მოვიგეთ, 3:1-თაც დიდად ვამაყობ.

— ამ სიამაყეში „ატლეტიკოს“ დაცვის უგულისყურობამ მთავარი როლი ხომ არ შეასრულა?

— ჩემი აზრით, თუ მცველი ცდება, ეს მოწინააღმდეგის მოერიშეთა დამსახურება უფროა, ვიდრე თავად უკანასკნელის უნიათობისა. გაიხსენეთ, „ბაჭიამ“ სტუმრების საჯარიმოში რა ამბები დაატრიალა — სავიოლასნაირ თავდამსხმელებთან ჭიდილი ნებისმიერ მცველს გაუჭირდებოდა.

— გეთანხმებით, მაგრამ არგენტინელს პირველი ბურთი „ატლეტიკოს“ მცველებმა თითქმის „უშურველად“ აჩუქეს.

— ესე იგი, 1:0-ს მცველებს უნდა ვუმადლოდეთ? კი, ბატონო, აღარ შეგედავებით, ოღონდ ჩემს მეგობარსაც გოლის ფანტასტიკურ ალღოსა და საჭირო ეპიზოდში ბურთთან ყოფნის ნიჭს ნუ დავუკარგავთ.

— თქვენეული საბარსელონო პროგნოზიც გაგვიმხილეთ.

— თუ ყველაფერი ბოლო რამდენიმე მატჩის სცენარის მსგავსად განვითარდა, ეს გუნდი სამომავლოდ პრიმერაშიც და ევროპულ სარბიელზეც დიდ წარმატებებს მიაღწევს.

მაიკლი რეალისტია
ინგლისურმა მედიამ ოუენი მადრიდში გაუშვა

ინგლისური პრესა კვლავაც ლივერპულელი მაიკლ ოუენის მადრიდის „რეალში“ სავარაუდო გადასვლის თემას დასტრიალებს. როგორც ალბიონური MAIL ON SUNDEY იუწყება, „ენფილდ როუდის“ ვარსკვლავიჭუნას ერთი სული აქვს, როდის დაამთავრებს ბრიტანულ კარიერას და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოთამაშე დევიდ ბექემს შეუერთდება.

მაიკლის „რეალში“ სავარაუდო გადაბარგებას ესპანური პრესაც დიდი ყურადღებით ეკიდება, ამიტომაც „ლივერპულის“ თავკაცობა ყველანაირად ცდილობს, დახვეწილი მოწინააღმდეგის, ესე იგი, მადრიდელთა პრეზიდენტის ფლორენტინო პერესის შორსმჭვრეტელური ჩანაფიქრების ჩაშლას, მაგრამ ალბათ უშედეგოდ — როგორც ზემოხსენებული გაზეთის კორესპონდენტი ამტკიცებს, ოუენს მობეზრდა მარადჟამს ერთი, თანაც დღეისთვის არცთუ ისე ძლიერი კლუბის მაისურით თამაში და უფრო ვრცელ სათამაშო სივრცეს ითხოვს.

გარდა პირნეული პრიმერადივიზიონის კაშკაშა მიზიდულობისა, „ლივერპულის“ ხელმძღვანელობას ერთ საგულისხმო გარემოებაზეც მოუწევს თავის მტვრევა —

და-ძმური ამბავი

მაიკლ ოუენის აგენტი ამჟამად ტონი სტივენსია, კაცი, რომელიც ფრიად აქტიურობდა ბექემის სამხრეთისკენ აბარგების საქმეში. პატივცემული სტივენსი მერსისაიდელთა აღმასრულებელ დირექტორსა და უმაღლეს ჩინოვნიკ რივ პერის ურჩევს, ძვირფასი მოთამაშე 25-დან 35 მილიონამდე ევროში გაცვალოს, თუმცა ლივერპულელები ჯიუტობენ და უარს აცხადებენ „რეალის“ ემისრებთან მოლაპარაკებაზე. ცნობისიმოყვარე MAIL ON SUNDEY თავის პროგნოზსაც არ მალავს — 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის მერე ალბიონური ბასტიონი ესპანელთა ზეწოლას ვერ გაუძლებს და კასტილიური გრანდის სასარგებლოდ დაეცემა. მაიკლ ოუენს კი „ლივერპულთან“ კონტრაქტი 2005 წლის ივნისამდე აკავშირებს...

ლადო ხომერიკი

უპირველ დაშვებულ

მაიკლ ოუენის ფეხბურთელ 28 წლად და კარენ ოუენი სასტუმროს ავტოსადგომზე ძლიერ შეაშინეს. კარენი, რომელიც ძმისგან, „ლივერპულის“ 23 წლის ვარსკვლავისგან რამდენიმე კილომეტრში ბოიფრენდთან ცხოვრობს, თავისი BMW-სკენ მიდიოდა, როდესაც ვიღაც ორმა კისერში ჩაავლო ხელი და მათი იქიდან გაყვანა უბრძანა. კარენ ოუენმა არც აცია, არც აცხელა და კივილი მორთო. დამნაშავენი გაიქცნენ.

პოლიციის წარმომადგენელმა მოგვიანებით განაცხადა: „ეს კაცები რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავაპატიმროთ, რადგან მათ სერიოზული განგაშის საფუძველი მოგვცეს, ისინი ხომ სადღაც წაყვანას ითხოვდნენ, რაც უბრალო მანქანის გატაცებას არ ჰგავს“.

კარენ ოუენს შესაძლოა პირადი დაცვა დაუყენონ.

პაპუნა კედია

ამხანაგური მატჩი. 18 თებერვალი

ჰოლანდია — აშშ

ჰოლანდია

მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), რონალდ ვატერეუსი (პსვ ეინდჰოვენი);

მცველები: ფრანკ დე ბური (რეინჯერსი, შოტლანდია), უილფრედ ბუმა (პსვ ეინდჰოვენი), იაპ სტამი (ლაციო, იტალია), ჯონ ჰეიტინგა, ნაიჯელ დე იონგი (ორივე აიაქსი), ბუდეევინ ზენდენი (მიდლსბრო, ინგლისი);

ნახევარმცველები: მარკ ვან ბომელი, არიენ რობენი (ორივე პსვ, ეინდჰოვენი), ედგარ დავიდსი, ფილიპ კოკუ, მარკ ოვერმარსი (სამივე ბარსელონა, ესპანეთი), რაფაელ ვან დერ ვაარტი, უესლი სნეიდერი (ორივე აიაქსი), კლარენს ზეედორფი (მილანი, იტალია), ანდი ვან დერ მეიდე (ინტერი, იტალია);

თავდამსხმელები: რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), როი მაკაი (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი)

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXIV ტური

ოსერი 1:2 ლიონი

0:1, 0:2 ლუნდული (8, 67), 1:2 ბუმონგი (75)

მონაკო	24	15	6	3	39:17	51
ლიონი	24	14	5	5	41:19	47
პსჟ	24	13	7	4	34:18	46
ოსერი	24	14	2	8	42:20	44
სოშო	24	12	6	6	35:27	42
მარსელი	24	13	2	9	32:25	41
ნანტი	24	11	4	9	27:21	37
ბორდო	24	10	6	8	25:26	36
ნიცა	24	8	11	5	25:21	35
ლანსი	24	11	2	11	22:37	35
ლილი	24	8	7	9	25:26	31
სტრასბური	24	8	6	10	36:34	30
რენი	24	7	8	9	27:25	29
ბასტია	23	6	7	10	24:33	25
მეცი	24	6	6	12	17:25	24
აიაჩო	24	6	6	12	21:33	24
გენგამი	24	7	3	14	21:36	24
მონპელიე	24	6	4	14	29:45	22
ლე მანი	24	4	8	12	18:36	20
ტულუზი	23	4	6	13	16:32	18

ინგლისი

ასოციაციის თასი
მეოთხედფინალის ფილისფრა

მილუოლი — ტრანმერი; მანჩესტერ იუნაიტედი — ვესტ ჰემი ან ფულემი; სანდერლენდი ან ბირმინგემი — შეფილდ იუნაიტედი; ლივერპული — პორტსმუთი ან არსენალი

მატჩები გაიმართება 6-7 მარტს

არგენტინა

კლასურა. I ტური

რასინგი — კოლონი 1:1; ველეს სარსფილდი — როსარიო სენტრალი 3:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — ბანფილდი 1:1; ნუევა ჩიკაგო — რივერ პლეიტი 2:2; ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 1:4; ლანუსი — ოლიმპო 3:0; ჩაკარიტა — სან ლორენსო 0:2; ტალიერესი — არსენალი 4:3; ატლეტიკო რაფაელა — კილმესი 0:0; ბოკა ხუნიორსი — ხიმნასია 0:0

მექსიკა

კლასურა. V ტური

ხაგუარესი — პუებლა 3:1; მორელია — გვადალახარა 0:1; ტიგრესი — ირაპუატო 3:1; სან ლუისი — ვერაკრუსი 0:0; ატლასი — ტეკოსი 3:2; ატლანტე — უნამი 2:4; ამერიკა — მონტერეი 3:2; პაჩუკა — ნეკაქსა 0:0; კერეტარო — ტოლუკა 2:1. *კრუზ ასული — სანტოს ლაგუნა გადაიდო*

პორტუგალია

II ლიგა
XXII ტური

ვარზიმი — ავეში 1:1; შავეში — მაია 0:1; ლეიშოეში — მარკუ 2:0; ოვარენსე — სანტა კლარა 3:1; პორტიმონენსე — ფელგეირაში 0:0; პენაფიელი — ეშტორილი 3:1; ნავალი — კოვილია 2:1; ფეირენსე — სალგეიროში 0:1; მადეირა — სეტუბალი 1:1

ფეხბურთის რუკასთან

რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი მწვრთნელი ოლეგ რომანცევი გუშინ რამენსკოეს „სატურნიდან“ თავისი სურვილით წავიდა, მან პოსტი ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა. რომანცევმა კლუბის დირექტორატთა საბჭოს ერთ-ერთ წევრს გულისნადები ჯერ კიდევ მაშინ გაუმხილა, როცა „სატურნი“ თურქულ შეკრებაზე იმყოფებოდა, მაგრამ ვალერი აკსაკოვმა ავადმყოფი მწვრთნელი უარით გაისტუმრა. რომანცევი უფროსობას მაინც თხოვდა, გამიშვით, ძალიან ცუდად ვარო. „სატურნის“ პრესატაშე იგორ მეშჩანჩუკმა კი გუშინვე განმარტა, აკსაკოვი რომანცევის გათავისუფლებას მას შემდეგ დაჰყაბულდა, როცა მოსკოვის ოლქის გუბერნატორ ბორის გრომოვს საათნახევარი ეთათბირაო.

შოტლანდიური „სელტიკის“ ახმახმა მცველმა დიდიე აგატიმ შესაძლოა, საფრანგეთის ეროვნულ გუნდში ითამაშოს. 28 წლის ფეხბურთელი წარმოშობით ფრანგია და 16 წლამდე „მამლების“ ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია. აგატი ახლა არჩევანის წინაშეა: „ჩემი თანაგუნდელები უკვე დიდიე მაკგატსაც მეძახიან, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, შოტლანდიას ავირჩევ თუ საფრანგეთს. უკვე ხუთი წელია, ბრიტანეთში ვარ და აქაურობას ძალიან შევეჩვიე, ყველას სურს, რომ შოტლანდიის ნაკრების მაისურა მოვირგო, მაგრამ თავს მაინც ფრანგად ვთვლი, მიუხედავად იმისა, რომ იქ არ დავბადებულვარ. იმედი მაქვს, რომ საფრანგეთის ნაკრებში მიმიწვევენ“.

იტალიური „ინტერი“ კვლავაც შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობს: მილანელებს რომის „ლაციოსგან“ იაპ სტამისა და ბრაზილიელი სეზარის გადაბირება უნდათ. ამბობენ, მასიმო მორეტი მზად არის, ჰოლანდიელის სანაცვლოდ 11 მილიონი ევრო გაიღოს, მაგრამ ურჩევნია, ორივე ფეხბურთელი ერთად იყიდოს, რაც ჯამში დაახლოებით 17 მილიონი ევრო დაჯდება.

ინგლისური „ლივერპულის“ შემტევი ნახევარმცველი ჰარი კიუელი ასოციაციის თასზე „პორტსმუთთან“ მატჩში დაშავდა. ტრავმა არც ისე სერიოზულია და ფეხბურთელს მხოლოდ რამდენიმე დღით მოუწევს დასვენება. კიუელი ვენესუელასთან ამხანაგურ მატჩს სწორედ ტრავმის გამო გამოტოვებს. ოზებს სამხრეთამერიკელებთან ვერც მეორე ფორვარდის, მარკ ვიდუკას იმედი ექნებათ — ვიდუკას არყოფნის მიზეზი უცნობია.

ნორვეგიის ნაკრების მცველმა კლაუს ლუნდეკვამმა ინგლისურ „საუთჰემპტონთან“ კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა და კლუბში 2007 წლის ზაფხულამდე დარჩება: „გუნდში უკვე მერვე სეზონს ვატარებ და ძალიან ბედნიერი ვარ. ყოველი წუთისგან სიამოვნებას ვიღებდი და კარიერის დამთავრებაც სწორედ აქ მსურს“ — აღნიშნა „წმინდანთა“ ერთგულმა ლუნდეკვამმა.

იტალიური „ლეჩეს“ სპორტულ დირექტორ პანტალეო კორვინოს თქმით, თუ სეზონის ბოლოს კლუბი ფინანსური თვალსაზრისით მაცდუნებელ წინადადებას მიიღებს, ორ ამომავალ ვარსკვლავს — ურუგვაელი ხავიერ ერნესტო ჩევანტონი და ბულგარელი ვალერი ბოჟინოვი — დაუყოვნებლივ შეელევა. ამ ფეხბურთელებს კი მსურველები ნამდვილად არ აკლიათ. 23 წლის ჩევანტონს ერთბაშად შვიდმა გრანდმა — „მილანმა“, „იუვენტუსმა“ „ინტერმა“, „რომამ“, „ლაციომ“, „რეალმა“ და „ბაიერნმა“ დაადგა თვალი. ხოლო 17 წლის ბოჟინივით ჯერ მხოლოდ „იუვენტუსი“ და „არსენალი“ დაინტერესდნენ.

ესპანური „მალაგას“ ფორვარდ სალვა ბალესტას კვლავაც ეროვნული გუნდში თამაში სურს. ერთ დროს პრიმერადივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი ნაკრებში უკვე იყო მიწვეული, მაგრამ მას მერე, რაც მისი მაშინდელი კლუბი სანტანდერის „რასინგი“ სეგუნდადივიზიონში გავარდა, სალვას კარიერა არც ისე კარგად აეწყო. ახლა კი რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ სალვა მალაგას“ მოერგო და თითქმის ადრინდელივით ათამაშდა, წლეულს უკვე 13 გოლი გაიტანა და ვალენსიელ მისტასთან ერთად მეორე-მესამე ადგილებს იყოფს ბომბარდირთა დავაში. „ნაკრებში დაბრუნება ჩემი ოცნებაა, მაგრამ ყველაფერს მწვრთნელი წყვეტს, ჩვენ კი მის აზრს პატივი უნდა ვცეთ“ — განაცხადა სალვამ.

აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად ბრაზილიელი კარლოს ალბერტო ტორესი დაინიშნა, მან პოსტზე ასკერ აბდულაევი შეცვალა. „ჩვენ გვყავს კარგი მწვრთნელები, მაგრამ გვინდა, რომ აზერბაიჯანული ფეხბურთი ევროპულ დონეზე ავიყვანოთ, რისთვისაც უცხოელი სპეციალისტის მოწვევა იყო საჭირო“ — განმარტა აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რამიზ მირზოევმა და კარლოს ალბერტოს ჯერ ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ბრაზილიელს პირველი გამოცდის ჩაბარება 18 თებერვალს ისრაელთან მოუწევს.

ესპანური „დეპორტივო“ გუნდის კიდევ ერთ ლიდერთან აპირებს კონტრაქტის გახანგრძლივებას. ვალერონის შემდეგ ვიქტორის ჯერი დადგა, რომელსაც ასევე ხანგრძლივ კონტრაქტს სთავაზობენ. ლაკორუნიელთა ნახევარმცველს საწინააღმდეგო არაფერი აქვს და ამბობს: „ახალ კონტრაქტზე პრეზიდენტთან ჯერ არ მილაპარაკია, მაგრამ მზად ვარ, „დეპორტივოში“ თუნდაც 40 წლამდე დავრჩე“.

ხორვატიის ნაკრების ყოფილ კაპიტან ზვონიმირ ბობანს ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილეობა შესთავაზეს, მაგრამ უარი განაცხადა. საინტერესო კი ისაა, რომ ცოტა ხნის წინ ბობანი ხორვატიის პრემიერ-მინისტრ ივა სანადერს და სპორტის მინისტრ დრაგან პრიმორაცს აკრიტიკებდა და მოუწოდებდა, სპორტისთვის რაც შეიძლება მეტი ყურადღება დაეთმოთ.

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ეძებეთ ყველაზე საძაგელი

ომარ სივორი

ომარ სივორის ორი სამშობლო და ერთი სიყვარული

ომარ სივორის სრულად ენრიკე ომარ სივორი ჰქვია. ის 1935 წლის 2 ოქტომბერს არგენტინაში, ბუენოს აირესის პროვინციაში, კერძოდ სან ნიკოლასეში, იტალიური წარმოშობის ოჯახში დაიბადა. მამამისს ადეოდატო სივორი ერქვა, დედას — კროლა ტირაკია. როგორც ამ სახელებიდან ხვდებით, იტალიურ ფესვზე ეჭვით ლაპარაკი დაუშვებელია. თავად ომარი, ან თუ გნებავთ ენრიკე ომარი, პატარაობიდანვე დიდი გიუმაჟობით გამოირჩეოდა. აი, ხომ არიან ადამიანები, ტანისამოსი ყოველთვის ამოჩაჩული რომ აქვთ, ასეთი იყო. ბურთაობისას მის ცნობას არაფერი უნდოდა, მოედანზე უნდა მოგეძებნათ ფეხბურთელი, რომელსაც შორტიდან მაისურა ჰქონდა ამოჩაჩული და... რომელიც თანაგუნდელებს უჩხაოდა, ეჭიჭყინებოდა, მეტოქეს კი ნებისმიერ მუჯლუგუნზე მუჯლუგუნით პასუხობდა. ერთი სიტყვით, ყველაზე „ჟილკა“ და საძაგელი უნდა გამოგერჩიათ. მაგრამ...

„მიამატეთ სივორი ათ ჩვეულებრივ ფეხბურთელს და თქვენ ჩემპიონთა გუნდს მიიღებთ“ — ამბობდა ომარზე მისი მასწავლებელი რენატო ჩეზარინი.

„სახელი მშობლებმა დამარქვეს, ცნობილ ადამიანად კი ჩეზარინიმ მაქცია“ — დაწერა სადღაც სივორიმ.

ცნობისთვის: ჩეზარინი 30-იან წლებში თავად გახლდათ „იუვენტუსის“ ფეხბურთელი. დაბადებით ისიც არგენტინელი იყო, ოღონდ ბავშვობიდანვე გადაბარგდა წინაპართა სამშობლოში და როდესაც მწვრთნელი გახდა, სივორი აღმოაჩინა. ჩეზარინიმ ჩვენი წერილის გმირი სადღაც საბავშვო ფეხბურთის ლაბირინთებში შეამჩნია, 1952 წელს კი „რივერ პლეიტში“ მიიყვანა.

მწვრთნელი და შეგირდი ბედმა კარგა ხნით დააკავშირა ერთმანეთს. 1957 წელს „იუვენტუსში“ სივორი ისევ და ისევ ჩეზარინის რეკომენდაციით მიიღეს, ხოლო 1959 წელს თავად ჩეზარინი ჩაუდგა „ბებერ ქალბატონს“ სათავეში. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ჯიჯღინა და უხიაგ სივორის კარიერის მანძილზე მხოლოდ ჩეზარინისთან არ მოსვლია კონფლიქტი. მეტიც, მარად მოწიწებით ელაპარაკებოდა მასწავლებელს.

თუმცა, დავუბრუნდეთ ბუენოს აირესს, უფრო სწორად კი „რივერს“, სადაც ენრიკე ომარი თავიდან მეოთხე გუნდში მიიღეს და როდესაც 12 თამაშში 14 გოლი დაუთვალეს, მესამე გუნდში გადაიყვანეს. აქ მან სეზონი 11 თამაშში 6 გოლით ჩაამთავრა, შემდეგი პირველობა 8 თამაშში 6 გოლით დაიწყო და მხოლოდ ასე აღზევდა მეორე გუნდის წევრობამდე, სადაც 21 შეხვედრა ჩაატარა და 11-ჯერ შეაგდო ბურთი მეტოქეთა კარში.

ბოლოს დადგა 1954 წლის 30 იანვარი, როდესაც ომარ სივორიმ „რივერ პლეიტის“ პირველ გუნდში შედგა ნაბიჯი, მან ცნობილი ანხელ ლაბრუნა შეცვალა. მეტოქე იუგოსლავიური „პარტიზანი“ გახლდათ, მატჩი — ამხანაგური...

ჩვენი წერილის გმირი სიმაღლით 170 სანტიმეტრი იყო, წონით 70 კილოგრამი. დიდ ფეხბურთს რომ შეეჩვია, გაირკვა, რომ მოედანსაც ბრწყინვალედ ხედავს, კარშიც ორივე ფეხით ღონივრად და ზუსტად არტყამს და დრიბლინგშიც უბადლოა, მით უფრო მარცხენათი.

იმ სეზონში, 1954 წელს, მთავარ მოწინააღმდეგესთან, „ბოკა ხუნიორსთან“ მატჩში მაყურებელი უბრალოდ გააგიჟა, განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, როდესაც ერთი მეორეს მიყოლებით ოთხი მეტოქე მოატყუა. საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებელმა ენრიკე ომარი ხელში აიტაცა...

არგენტინის 1955 და 1956 წლების ჩემპიონს ნაკრებში პირველმა თამაშმა ამერიკის თასზე 56-ში უწია და პირველსავე შეხვედრაში, პერუსთან, გოლი შეაგდო. იმ წელიწადს ფინალში არგენტინას მაინც ურუგვაიმ მოუგო, შემდეგ წელიწადს კი კონტინენტის ჩემპიონობა სივორის და მის გუნდს ერგო. ფინალში არგენტინელებმა თვით ბრაზილიას მოუგეს 3:0. იმ დღეს სივორის მხარდამხარ ბრწყინავდნენ მასკიო და ანჯელილო, რომელთაც, ომარისა არ იყოს, ისე უნდოდათ მოგება, რომ დაუსრულებელ ბრძოლაში სულ ბალახზე ცვივოდნენ, რის გამოც არგენტინულმა პრესამ მოფერებით „ბინძური სიფათები“ შეარქვა.

1960 წლის სკუდეტოს მომგები „იუვენტუსი“

სამივე სიფათი მყისიერად იტალიაში აღმოჩნდა. სივორიში „იუვემ“ 10 მილიონი პესო, მაშინდელი სარეკორდო თანხა გადაიხადა...

... იმხანად „ბებერი ქალბატონი“ სკანდალში იყო გახვეული. ეს გახლდათ ჩვეულებრივი იტალიური სკანდალი — კლუბის პრეზიდენტი უმბერტო ანიელი ფულს მალავდაო, ამტკიცებდნენ სამართალდამცავები. ალბათ, ასეთი საერთო კლიმატის ბრალი იყო, ომარმა ევროპული კარიერა უგემურად რომ დაიწყო, თუმცა თანდათან გონს მოეგო და „ვიჩენცას“ (5:2) ოთხი გოლი გაუტანა, ხოლო 1957-58 წლების სეზონში 22 გოლი გაიტანა. სივორი იტალიის ჩემპიონი გახდა.

1960 წელსაც „იუვემ“ მოიგო სკუდეტო, ხოლო ენრიკე ომარი ბომბარდირთა ბომბარდირად ჩამოყალიბდა. მართალია, ის ნიადაგ შარში იყო გახვეული და ხშირად მოედანზე ყოფნის ნაცვლად დისკვალიფიცირებული ტრიბუნაზე იჯდა, საუკეთესოდ მაინც მას ასახელებდნენ. „იუვენტუსში“ ტრიო ჰქუხდა: ცენტრში უელსელი ჯონ ჩარლზი, ფლანგებზე ჯამპიერო ბონიპერტი და სივორი.

1961 წელს სივორი ევროპის საუკეთესო ბომბარდირი, ანუ „ოქროს ბურთის“ მფლობელი ხდება და იტალიის მოქალაქეობასაც იღებს. შედეგად, მას იტალიის ნაკრებში ათამაშებენ, სადაც მესამე თამაში... არგენტინასთან უწევს. ყოფილმა არგენტინელმა ყოფილ სამშობლოს გოლი გაუტანა.

1961 წელსვე მოხდა ღირსშესანიშნავი ამბავი: „ინტერმა“ ფედერაციის მიმართ რაღაც პროტესტის გამო „იუვეს“ წინააღმდეგ მოედანზე სულ ყმაწვილები გაიყვანა. მატჩი საშინელი ანგარიშით, 9:1 დასრულდა და ცხრიდან ექვსი სივორიმ შეაგდო. ეს შედეგი სილვიო პიოლას დღემდე ხელშეუხებელი რეკორდის გამეორება გახლდათ.

1961 წელს სივორი ისევ გახდა იტალიის ჩემპიონი, მაგრამ ეს იყო და ეს. იმ წელიწადს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაიბრწყინა, ხოლო შემდეგ „იუვეს“ სათავეში პარაგვაელი ერიბერტო ერერა დანიშნეს და მან ფეხბურთელებს მოქმედების ჩარჩოები დაუწესა...

1965 წელს ნაჩხუბარი სივორი „ნაპოლიში“ გადადის. იქვე იწყებს თამაშს დიდი ბრაზილიელი ჟოზე ალტაფინი. ორივეში ერთად ნეაპოლელებმა 150 მილიონი პესო გადაიხადეს.

1968-69 წლების სეზონი სივორისთვის ბოლო აღმოჩნდა და სკანდალით დასრულდა. საქმე ის არის, რომ სივორიმ სეზონი მეტწილად საავადმყოფოში გაატარა, მაგრამ ბოლოს გამოჯანმრთელდა და გუნდში დაბრუნება მოიწადინა. ახალ მწვრთნელს, კარლო პაროლას კი მის ადგილას უკვე შემცვლელი ჰყავდა გამზადებული. სივორიმ ეს ვერ აიტანა, ატყდა ჩხუბი, რომელიც იმით დასრულდა, რომ სივორიმ განაცხადა, მინდა და ვითამაშებო, კლუბმა კი ამ განცხადების და აყალ-მაყალისთვის 1 მილიონი ლირით დასაჯა.

ამ პერიოდს დაემთხვა თამაში „იუვესთან“ და ჩხუბი ბევრი ადამიანის მონაწილეობით. „იუვეს“ ისევ ის ერერა წვრთნიდა და არგენტინელ-იტალიელს საგანგებოდ მიუჩინა ვინმე ფავალი, პროვოკატორი, რომელმაც მსაჯის ფანდზე წამოგება მოახერხა. სივორი გააძევეს, რასაც დიდი აყალმაყალი მოჰყვა.

6 დეკემბერს მან გამოაცხადა, რომ ფეხბურთიდან მიდის... რაც შეეხება ოჯახს, ენრიკო ომარმა ცოლი იტალიაში 1957 წელს მოიყვანა, 21 დეკემბერს. მის მეუღლეს ჰქვია ელენა კაზა, ხოლო სამი შვილი სკუდეტოს მოპოვების წლებში შეეძინა.

რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, ეგიც დატვირთული, მაგრამ ნიადაგ ჩხუბიანი და წარუმატებელი ჰქონდა.

პაპუნა კედია

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
ინგლისი. II დივიზიონი. XXIX ტური								
17 თებერვალი								
23.45	059	გრიმსბი-ბრისტოლი	3,8	3,2	1,85	1,73	1,24	1,17
ინგლისი. II დივიზიონი. XXXI ტური								
17 თებერვალი								
23.45	060	ტრანმერი-პლიმუთი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
ინგლისი. III დივიზიონი. XXVIII ტური								
17 თებერვალი								
23.30	076	დარლინგტონი-ნორთჰემპტონი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
18 თებერვალი								
23.45	077	ბოსტონი-სუონსი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
ინგლისი. III დივიზიონი. XXIX ტური								
17 თებერვალი								
23.45	078	როვერსი-ჰადერსფილდი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
23.45	079	კემბრიჯი-კარლაილი	1,85	3,2	3,4	1,17	1,19	1,64
23.45	080	იორკი-ლინკოლნი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
შოტლანდია								
III დივიზიონი. XIX ტური								
17 თებერვალი								
23.30	136	ალბიონი-სტრანრარი	3,8	3,6	1,7	1,84	1,17	1,15
ჰოლანდია. II დივიზიონი. XXI ტური								
17 თებერვალი								
23.00	275	ემენი-ჰერაკლესი	2,1	3,3	3,0	1,28	1,23	1,57
ჰოლანდია. II დივიზიონი. XXIV ტური								
19 თებერვალი								
23.00	276	მაასტრიხტი-ოსი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35
23.00	277	დენ ბოსხი-სიტარდი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
ლიბერტადორესის თასი								
17 თებერვალი								
02.30	433	კურიტიბა-ოლიმპია	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
04.45	434	კრუზეირო-სანტოსი(მექ)	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
18 თებერვალი								
02.30	435	ბოლივარი-ბოკა ხუნიორსი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
04.45	436	სანტოსი(ბრ)-გუარანი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
19 თებერვალი								
03.15	437	სტრონგესტი-ამერიკა	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
06.30	438	ონსე კალდასი-ფენიქსი	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
ამხანაგური მატჩები								
18 თებერვალი								
17.00	441	კვიპროსი-ბელარუსი	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
17.00	442	უნგრეთი-სომხეთი (კვიპროსში)	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
17.00	443	ლატვია-ყაზახეთი (კვიპროსში)	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
17.00	444	რუმინეთი-საქართველო (კვიპროსში)	1,55	3,5	5,3	1,07	1,19	2,1
18.00	445	ესტონეთი-მოლდოვა (მალტაზე)	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
19.00	446	ისრაელი-აზერბაიჯანი	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
19.00	447	მაროკო-შვეიცარია	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
21.00	448	მაკედონია-ბოსნია	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41
22.00	449	ლიბია-უკრაინა	3,5	3,3	1,85	1,69	1,21	1,18
22.30	450	თურქეთი-დანია	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
22.45	451	ალბანეთი-შვედეთი	3,8	3,2	1,8	1,73	1,22	1,15
23.00	452	საბერძნეთი-ბულგარეთი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
23.00	453	პოლონეთი-სლოვენია (ესპანეთში)	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
23.15	454	ბელგია-საფრანგეთი	3,6	3,2	1,85	1,69	1,22	1,17
23.30	455	ჰოლანდია-აშშ	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
23.30	456	ირლანდია-ბრაზილია	3,8	3,1	1,8	1,7	1,22	1,13
23.45	457	ხორვატია-გერმანია	2,5	3,0	2,5	1,36	1,25	1,36
23.45	458	იტალია-ჩეხეთი	1,8	3,0	4,2	1,12	1,26	1,75
23.45	459	ჩრდ.ირლანდია-ნორვეგია	3,5	3,2	1,9	1,67	1,23	1,19
23.45	460	უელსი-შოტლანდია	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
00.30	461	ესპანეთი-პერუ	1,3	4,2	9,0	1	1,13	2.86
01.15	462	პორტუგალია-ინგლისი	2,2	3,1	3,0	1,28	1,26	1,52
03.00	463	ვენესუელა-ავსტრალია	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
03.00	464	იამაიკა-ურუგვაი	3,4	3,2	1,95	1,64	1,23	1,21
07.00	465	ჰონდურასი-კოლუმბია	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
08.00	466	მექსიკა-ჩილე	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
რაგბი. ექვსი ერის თასი								
21 თებერვალი								
18.00	470	საფრანგეთი-იტალია	1,01	40,0	15,0	1	1	10.9

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	472	შოტლანდია-ინგლისი	7,5	20,0	1,05	5,45	1	1
		22 თებერვალი						
19.00	474	ირლანდია-უელსი	1,4	17,0	2,8	1,29	1	2,4
		ჰოკეი. რუსეთი						
		17 თებერვალი						
19.30	1001	ტორპედო-ლოკომოტივი	4,2	5,0	1,45	2,28	1,07	1,12
19.30	1002	ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი	2,45	4,8	1,9	1,62	1,07	1,36
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		17 თებერვალი						
20.00	1030	ვიტკოვიცე-კარლოვი ვარი	1,6	4,4	3,6	1,17	1,1	1,98
20.00	1031	ზლინი-კლადნო	1,45	4,6	4,6	1,1	1,1	2,3
20.30	1032	ზნოიმო-პლზენი	1,75	4,4	3,0	1,25	1,1	1,78
20.30	1033	ბუდეიოვიცე-ტრჟინეცი	2,15	4,2	2,35	1,42	1,12	1,5
20.30	1034	ლიტვინოვი-პარდუბიცე	2,5	4,2	2,0	1,56	1,11	1,35
21.00	1035	სლავია-სპარტა	2,2	4,2	2,3	1,44	1,12	1,48
21.00	1036	ლიბერეცი-ვსეტინი	1,8	4,2	2,9	1,26	1,11	1,71
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		17 თებერვალი						
20.00	1056	კოშიცე-პოპრადი	1,45	4,2	4,6	1,07	1,1	2,19
20.00	1057	ჟილინა-ნიტრა	1,6	4,0	3,6	1,14	1,1	1,89
20.00	1058	მარტინი-ზვოლენი	2,4	3,4	2,0	1,4	1,09	1,25
20.00	1059	სლოვანი-ტრენჩინი	2,1	3,4	2,4	1,29	1,12	1,4
20.00	1060	სკალიცა-მიკულაში	1,6	4,0	3,6	1,14	1,1	1,89
		ჰოკეი. გერმანია						
		17 თებერვალი						
22.30	1076	კასელი-იზერლონი	1,75	4,4	3,0	1,25	1,1	1,78
22.30	1077	დიუსელდორფი-ჰამბურგი	2,05	4,2	2,45	1,37	1,11	1,54
23.00	1078	კრეფელდი-ჰანოვერი	1,5	4,8	4,0	1,14	1,09	2,18
23.00	1079	ფრაიბურგი-ინგოლშტადი	3,5	4,6	1,6	1,98	1,09	1,18
23.00	1080	აისბარენი-ნიურნბერგი	1,6	4,6	3,5	1,18	1,09	1,98
		ჰოკეი. შვეიცარია						
		17 თებერვალი						
22.30	1099	ლუგანო-ცუგი	1,55	4,8	3,6	1,17	1,08	2,05
22.30	1100	დავოსი-სერვეტი	1,8	4,4	2,8	1,27	1,09	1,71
22.30	1101	ციურიხი-ამბრი	1,65	4,6	3,3	1,21	1,1	1,92
		ჰოკეი. შვედეთი						
		17 თებერვალი						
22.00	1119	მალმიო-ლულეო	2,1	4,2	2,4	1,4	1,12	1,52
22.00	1120	ფრიოლუნდა-ლეკსანდი	1,4	4,8	4,8	1,08	1,08	2,4

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	1121	ჰვ 71-ტიმრე	1,5	4,6	4,2	1,13	1,1	2,19
22.00	1122	იურგორდენი-ლინჩიოპინგი	1,75	4,4	3,0	1,25	1,1	1,78
22.00	1123	სიოდერტელიე-მოდო	1,8	4,4	2,8	1,27	1,09	1,71
22.00	1124	ბრიუნესი-ფერიესტადი	2,7	4,4	1,8	1,67	1,08	1,27
		ჰოკეი. ფინეთი						
		17 თებერვალი						
20.30	1142	ესპოო-ჰელსინკი	2,35	4,4	2,1	1,53	1,1	1,42
20.30	1143	პელიკანსი-ილვესი	6,0	5,0	1,3	2,72	1,06	1,03
20.30	1144	სეიპა-ლუკო	4,2	5,0	1,45	2,28	1,07	1,12
20.30	1145	ტაპარა-ტურკუ	2,6	4,6	1,85	1,66	1,08	1,31
20.30	1146	ესეტი-კერპეტი	3,8	5,0	1,5	2,15	1,07	1,15
		18 თებერვალი						
20.30	1147	იოკერიტი-იუვესკიულე	1,4	4,8	4,8	1,08	1,08	2,4
		ჰოკეი. NHL						
		17 თებერვალი						
04.00	1165	ვაშინგტონი-ოტავა	3,2	3,6	1,8	1,69	1,15	1,19
04.00	1166	ტამპა ბეი-ფილადელფია	2,35	3,5	2,35	1,4	1,17	1,4
04.30	1167	მონრეალი-ატლანტა	1,75	3,6	3,4	1,17	1,15	1,74
04.30	1168	ტორონტო-ბოსტონი	1,95	3,6	2,9	1,26	1,16	1,6
04.30	1169	ნიუ ჯერსი-მინესოტა	1,7	3,6	3,6	1,15	1,15	1,8
		კალათბურთი. NBA						
		17 თებერვალი						
04.00	1357	ინდიანა-ნიუ ორლეანი	1,25	10,0	3,1	1,11	1	2,36
04.30	1358	მაიამი-იუტა	1,6	10,0	2,0	1,37	1	1,66
04.30	1359	ნიუ იორკი-დეტროიტი	1,7	10,0	1,9	1,45	1	1,59
05.00	1360	მილუოკი-ორლანდო	1,1	10,0	4,0	1	1	2,85
05.00	1361	მინესოტა-ფინიქსი	1,1	10,0	5,0	1	1	3,33
05.00	1362	მემფისი-დალასი	1,7	10,0	1,9	1,45	1	1,59
05.30	1363	ჩიკაგო-ტორონტო	1,8	10,0	1,8	1,52	1	1,52
05.30	1364	ჰიუსტონი-ვაშინგტონი	1,15	10,0	4,0	1,03	1	2,85
06.00	1365	დენვერი-ფილადელფია	1,3	10,0	2,6	1,15	1	2,06
07.00	1366	საკრამენტო-ბოსტონი	1,12	10,0	4,4	1	1	3,05
07.30	1367	ლეიკერსი-პორტლენდი	1,15	10,0	3,6	1,03	1	2,64

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

21.02 16.30	6001	ინგლისი პლ (XXVI)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
21.02 18.30	6002	გერმანია ბლ (XXI)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
21.02 21.00	6003	იტალია A (XXII)	23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
21.02 22.30	6004	ესპანეთი Iდ (XXV)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
20.02 23.00	6005	საფრანგეთი Iდ (XXV)	21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
20.02 01.30	6006	პორტუგალია სლ (XXIII)	22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
20.02 23.30	6004	ბელგია Iდ (XXIII)	25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

დიდი მოლაპარაკება

სარაგბო თემი კავშირისგან ერთ თვეში ყრილობას ითხოვს

გუშინ ფიზკულტურის აკადემიის დარბაზში ქართული რაგბის 45-წლიან ისტორიაში პირველი ფართომასშტაბიანი კონფერენცია ჩატარდა. რაგბის მხარდამჭერთა ლიგის, ვეტერან მორაგბეთა კავშირისა და კლუბების წარმომადგენლების ძირითადი სასაუბრო თემა წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების მოსაგვარებელი გზების მოძებნა იყო

კონფერენციას კავშირის პრეზიდენტი და ოფიციალური პირები არ დასწრებიან, თუმც გამგეობის ხუთივე წევრი დარბაზში იყო. ბათუ კევლიშვილმა, გუგა გეგენავამ, შავლეგ ჯანელიძემ, თორნიკე გეგიძემ და თამაზ მგელაძემ კლუბებისგან თხოვნაც მიიღეს, გამოიყენონ წესდებაში ჩადებული მუხლი და მარტში ყრილობა მოიწვიონ, რომელზეც ახალი საპრეზიდენტო არჩევნებიც გაიმართება.

ამ რეზოლუციის სრულ ვარიანტს ქვემოთ გაეცნობით, მანამდე კი რამდენიმე გამომსვლელის საინტერესო ნაზრევსაც შემოგთავაზებთ. პირველ რიგში მოსაწესრიგებელ პრობლემად ყველამ ბავშვთა რაგბის განვითარება და საკლუბო დონის ამაღლება დაასახელა.

თამაზ მგელაძე

(რაგბის მხარდამჭერთა ლიგის დამფუძნებელი)

— კონფერენციის მთავარი მიზანი საქართველოში რაგბის განვითარება, მოწყობა და უკეთ ორგანიზებაა. ამის პირველი გარანტიები კლუბები უნდა იყვნენ. ისინი და რაგბის კავშირი კი ისე არ თანამშრომლობენ, როგორც საჭიროა. ერთმანეთს მარტო ჩემპიონატის დროს თუ ხვდებიან და არის მუდმივი დაპირისპირებები, დაბრალებები და მტყუან-მართლის გარჩევა. საჭირბოროტო საკითხია მსაჯების ცემაც. სხვაგან მსგავსი რამ არ ხდება. მსაჯს ყველგან პატივს სცემენ, აქ კი... უნდა არსებობდეს მსაჯთა და მწვრთნელთა მოსამზადებელი ადგილი და მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყველა საშუალება უნდა მოიძებნოს.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა ქართული რაგბის უდიდესი მიღწევა იყო და მას ფასს ვერავინ დაუკარგავს, მაგრამ გარდა ამ სიხარულისა, ბოლო წლებში უამრავი უარყოფითიც მოხდა. პირველი და მთავარი — ეროვნული ნაკრები ქართულ სივრცეს მოსწყდა. ლეგიონერთა რაოდენობამ 70-ს მიაღწია, ქართულმა კლუბებმა ისეთი მოთამაშეები დაკარგეს, რომლებიც კლუბებისთვის უფრო ფასეულნი იქნებოდნენ, ვიდრე ნაკრებისთვის. აქაური სივრცისთვის ეროვნული გუნდი დაიხურა, არადა, შიდა რესურსებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ქართველი მწვრთნელების მიმართ პრეტენზია არ მაქვს, თუმც ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს უცხოელი სპეციალისტი სჭირდება. მისი გარემოცვა კი ქართული უნდა იყოს.

ნუგზარ მალაღურაძე

(ყოჩების წარმომადგენელი)

— დღეს მსოფლიოში რაგბი გზის გასაყარზე დგას და პროფესიულ რელსებზე გადადის. იმ ფასეულობების შენარჩუნება, რომლებიც წლების განმავლობაში დავაგროვეთ, ძალიან გაგვიჭირდება. სადაც ფული ჩნდება, სიბინძურეც მეტია. 90-იანი წლებიდან საქართველოს ნაკრებმა რაგბი საოცრად პოპულარული გახადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოპულარობისთვის ჩვენ მზად არ აღმოჩნდით. ბავშვთა რაგბის განვითარებაზეც ცოტა ძნელია საუბარი. ერთ კლუბს წლიურად დაახლოებით 360 ათასი ლარი სჭირდება.

ლევან იოსელიანი

(ვეტერანი მორაგბე)

— პროფესიულ რელსებზე მარტო მოთამაშეები არ უნდა გადავიდნენ. თუ მიდგომა მთლიანად პროფესიული იქნება, ფასეულობებსაც შევინარჩუნებთ. ჰაერიდან მოტანილ რიცხვებს ვერ ვიტან და აქვე დავძენ, რომ გაუგებარი მეთოდით დათვლილს სულ დაუთვლელი სჯობს. პიროვნულ ჭიდილს ადგილი არ აქვს. უბრალოდ, სახეზე აზრების შინაარსობრივი სხვადასხვაობაა.

თემურ ბენდიაშვილი

(ლოკომოტივის მწვრთნელი)

— ვიცი, რომ ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს, მაგრამ ვისაც ეხება, ვთხოვთ, 15-20 დღეში რიგგარეშე ყრილობის მოწვევას.

ოთარ მაღლაკელიძე

რეზოლუცია

1 კონფერენციის მონაწილენი გამოთქვამენ სურვილს და მთელი ქართული რაგბის ოჯახის ნებას, რათა მის სივრცეში ჩამოყალიბდეს, გამოიკვეთოს და განხორციელდეს ქართული რაგბის მოწყობის და განვითარების ერთიანი, ქვეყნისათვის სასიკეთო გეგმა, რაც იქცა მსჯელობის საგანი ამ კონფერენციაზე.

ესენია:

ა) საჯაროობა

ბ) ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშგება

გ) რაგბის განვითარების პოლიტიკის კოლეგიალური შემუშავება და მართვა

დ) რაგბის კავშირის, როგორც ორგანიზაციის ამოქმედება ხელმძღვანელ ორგანოთა და პირთა კონკრეტული პასუხისმგებლობების განსაზღვრით

2 მოეთხოვოს რაგბის კავშირის გამგეობას დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული რაგბის კავშირის ყრილობა პრეზიდენტის არჩევნების მიზნით, ერთი თვის ვადაში.

16.02.2004



ნაკრებმა სპონსორი ახლოში იპოვა

ცქიტიშვილი ამერიკიდან ჩაგვაცმევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრების ბიბლიოთეკა

2004 NBA ALL-STAR GAME

ჩამომეცალეთ!

შაკმა საღამო ჩააშავა

იმ საღამოს ყველაფერი შესაფერისად იყო, გაფორმებული. სხვაგვარად, აბა როგორ იქნებოდა, 2004 წლის ოლ სტარი ხომ ლოს ანჯელესში ჩატარდა, იმ ქალაქში არათუ ყველა ვარსკვლავის შოუთაიმზე, არამედ ნბა-ს რიგით თამაშებზეც საქართველოშიც კი ცნობილი უამრავი სახე დაიარება.

ოლ სტარმა ჭეშმარიტი ზეიმის საკადრის ფერებში ჩაიარა. მხიარულება და უდარდელობა სუფევდა ტრიბუნებზე და მოედანზე. მისისიპის აქეთ-იქითა ვარსკვლავებმა ძალიან ბევრი ბურთები ჩაყარეს და უამრავჯერ ჩატენეს. ყველას უხაროდა, რაკი იმ დღეს „სტეიპლზ სენთერში“ ჟურნალისტებისა და მომსახურე პერსონალის გარდა არავინ მუშაობდა. მთელი თავისი არსით და ცხოვრებით მიღებაზე და წარმართვაზე მომართულმა ალენ აივერსონმაც კი გაცემა იწყო და ყველაზე მეტი პასიც დააგროვა. ნახევარი საუკუნე ასეა, და ზამთრის ამ „მზიან საღამოს“ ყველა ლაღობდა, მაგრამ...

შაკილ ონილი ჯერ კიდევ შარშან დაიბოღმა იაო მინგზე, როცა პირტიტველა და ვერაფერი დამსახურების ჩინელმა ამხელა მთაკაცს, დასავლელ ვარსკვლავთკრებულის დამწყებ ხუთეულში უნებურად ადგილი წაართვა. წელსაც რომ იგივე განმეორდა!

ჰოდა შევიდა თუ არა ეს დევი შეცვლაზე, იმ წუთიდან ყველაფრის თელვა იწყო. კიდევ კარგი დიდი ხნით არ ათამაშეს — ხომ წალეკავდა ყველას! მინგმა ხომ მადლი უნდა უძღვნას ბუდას, შაკილის გუნდში რომ ითამაშა და არა მის წინააღმდეგ.

„ოჯახზე უნდა იფიქრო — ანცობდა ნამატჩევს აღმოსავლელი ჯეისონ კიდი — თავს ამ წყეულს ხომ არ მოვაკვლევინებ. როცა შენზე მოდის, ისღა დაგრჩენია, გზიდან ჩამოეცალო.“

24 წუთი ითამაშა შაკმა და 24 ქულა ჩააგდო, აქედან 18 მრგვინავი ჩატენვებით მოიხვეჭა. ყველაზე მეტი მას მოუგროვდა და რაკი მისმა დასავლეთმაც მოიგო და თანაც შაკილი კობი ბრაიანტთან ერთად საღამოს მასპინძელი იყო, ოლ სტარის უძვირფასეს მოთამაშედაც ის დაასახელეს.

სხვაფრივ კი თამაში ნამდვილად არ წაუხდენიათ ახალგამომცხვარ ვარსკვლავებს, განსაკუთრებით სათადარიგო აღმოსავლელებს მაიკლ რედს (13 ქულა), კენიონ მარტინს (17) და ჯამაალ მალუას (19). ცოტა ევროპელები ჩანდნენ უფერულები — ნოვიცკიმ, სტოიაკოვიჩმა და კირილენკომ ჯამში 9 ქულა შეაკოწიწეს, როცა ჩინელმა იაო მინგმა თითქმის ორჯერ მეტი მოიხვეჭა.

კოტე ყორღია



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ალენ აივერსონმა ჩინურ კედელს ჩაუქროლა

დასავლეთი 136:132 აღმოსავლეთი

ლოს ანჯელესი. „სტეიპლზ სენთერი“. 19 662 მაყურებელი

დასავლეთი		აღმოსავლეთი	
სტივ ფრენსისი (ჰიუსტონი)	13 ქულა	ალენ აივერსონი (ფილადელფია)	3
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)	20	ვინს კარტერი (ტორონტო)	
კევინ გარნეტი (მინესოტა)	12	ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო)	13
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)	14	ჯერმენ ონილი (ინდიანა)	16
იაო მინგი (ჰიუსტონი)	16	ბენ ვოლესი (დეტროიტი)	4
შაკილ ონილი (ლეიკერსი)	24	ჯამაალ მალუა (ნიუ ორლეანი)	19
რეი ალენი (სიეტლი)	14	კენიონ მარტინი (ნიუ ჯერსი)	17
ბრედ მილერი (საკრამენტო)	8	ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი)	14
პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო)	5	მაიკლ რედი (მილუოკი)	13
სემ კასელი (მინესოტა)	4	პოლ პირსი (ბოსტონი)	8
დირკ ნოვიცკი (დალასი)	2	ბაირონ დევისი (ნიუ ორლეანი)	7
ანდრეი კირილენკო (იუტა)	2	რონ არტესტი (ინდიანა)	7
მწვრთნელი: ფლიპ სანდერსი (მინესოტა)		მწვრთნელი: რიკ კარლაილი (ინდიანა)	

REUTERS ლოს ანჯელესიდან

შაკილ ონილმა გზად ყველა გადათელა

ზურგის ქარი ჩადგა

მარჯოიშვილმა ბუნდესმარცხი გასინჯა

გასული კვირის საუკეთესო ლეგიონერად თამამად შეგვიძლია გამოვაცხადოთ ფრანგული „დიჟონის“ ფორვარდი ვახტანგ ნაცვლიშვილი. საქართველოს ნაკრების კაპიტანი არა მხოლოდ იმიტომ იმსახურებს ქებას, რომ „შალონს“ 23 ქულა ჩაუგდო, ის დედის სიკვდილით გულდამძიმებული ახალი დაბრუნებული იყო საფრანგეთში და მოედანზე არავისთვის არაფერი დაუთმია.

„დიჟონი“ ცხრილის მეზობელ „შალონს“ ესტუმრა და 57:75 დამარცხდა. სტუმართაგან საუკეთესო ნაცვლიშვილი იყო, რომელმაც 23 ქულას 6 მოხსნა, 3 პასი და 2 დაფარებაც მიაბა. ვატო მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს და ვაგლახ, რომ სხვა დიჟონელებმა, მათ შორის ვიქტორ სანიკიძემაც, ვერ ივარგეს, თორემ ისინი ახლა ცხრილის მესამე საფეხურზე იქნებოდნენ, ასე კი მეხუთეზე არიან. სანიკიძე 4 წუთით გაიყვანეს მოედანზე და მან თითო სამ და ორქულიანის სროლა მოასწრო, მაგრამ ამაოდ.

„დიჟონივით“ მხოლო 57 ქულას დასჯერდა და, რა თქმა უნდა, წაადო მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერმა“ ბუნდესლიგაში. ვეისენფელსელებს მაინც არაფერი ეშველათ. ამ მარცხმა „მიტელდოიჩერი“ ცხრილში კი დააქვეითა, მაგრამ პლეი ოფში გამსვლელ მე-8 ადგილს მაინც ინარჩუნებს.

საერთოდ ეს კვირა უიღბლო იყო ევროპის „ქართული“ გუნდებისათვის. „დიჟონისა“ და „მიტელდოიჩერის“ კვალად თავისი ორივე შეხვედრა ევროლიგასა და ადრიატიკის ლიგაში წააგო ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიამაც“. ჩვენებურს ევროლიგაში ხელი მოეცარა, თავის გუნდს მხოლოდ 4 ქულა მიაშველა ბერძნულ აეკ-თან, ჰოსტიუგოსლავიურ ჩემპიონატში კი შედარებით ხელგაშლილი იყო და 10 ქულას 3 ჩაჭრაც მოაყოლა. ადრიატიკის ლიგაში ლიუბლიანელთა მეტოქეები მეზობელი ლაშკოელები იყვნენ. თამაში მეტად დაძაბული და ოლიმპიელთათვის უიღბლო გამოდგა — მათ ძირითადი დროის ბოლო წამებზე დასანანი ბურთი მიიღეს, ოვერტაიმში კი საერთოდ ჩაფლავდნენ.

ოკეანგაღმა კი მხოლოდ ორლანდოში ქრის ქართული სიო. „დენვერში“ ცქიტიშვილის და „პორტლენდში“ სტეფანიას სათამაშო გასულ კვირას ძვირად თუ გამოინახა, ფაჩულიამ კი აგერ, უკვე ხუთეულიც დააჭაშნიკა, მაგრმ ეს უფრო ენდრიუ დეკლერკის ტრავმის გამო მოხდა. ზაზამ სასტარტოში „მაიამისთან“ დაიწყო, მაგრამ 19 წუთში მხოლოდ კინკილა ქულას, 3 მოხსნასა და 2 პასს დასჯერდა.

ირაკლი პერტაია

ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

	გუნდი	მეტოქე	ტურნირი	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	წ/ქ
ვახტანგ ნაცვლიშვილი	დიჟონი	შალონი	საფრანგეთის ჩემპ.	ს	57:75	39	23	6	3	27,8/14,2
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	შალონი	საფრანგეთის ჩემპ.	ს	57:75	4	0	0	0	4/8,2
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	აეკ პივოვარნა	ევროლიგა ადრიატიკის ლიგა	ს ს	87:91 106:111	30 6	4 2	6 3	0 0	29/9 27/12
მანუჩარ მარკოიშვილი	მიტელდოიჩერი	ბრაუნშვაიგი	ბუნდესლიგა	ს	57:81	31	9	2	3	30/11
ზაზა ფაჩულია	ორლანდო	მაიამი ლეიკერსი	NBA რეგულარ. ჩ. NBA რეგულარ. ჩ.	ს შ	98:111 96:98	2 არ უთამაშია	0	0	0	— 11,4/3,6
ვლადიმერ სტეფანია	პორტლენდი	იუტა დენვერი	NBA რეგულარ. ჩ. NBA რეგულარ. ჩ.	შ შ	81:86 98:107	16 არ უთამაშია	0	5	1	— 10,8/2,6
ნიკა ცქიტიშვილი	დენვერი	საკრამენტო პორტლენდი	NBA რეგულარ. ჩ. NBA რეგულარ. ჩ.	ს ს	92:115 107:98	2 არ უთამაშია	0	0	0	— 11,4/3,6

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ

ადიო პირატა



14 თებერვალს რიმინის „ლა როსეს“ სასტუმროს ნომერში მკვდარი იპოვეს დიდი იტალიელი ველმრბოლი 34 წლის მარკო პანტანი. ბოლო წლებში ის ტანჯული იყო სასამართლოებითა და აკრძალვებით, რაც მისი და სადოპინგო პრეპარატების ურთიერთობას მოყვა.

სწორედ ამ ბოლო წლებში პანტანი დაცემულ კერპად იყო აღიარებული და თავის მდგომარეობას ძალიან განიცდიდა. ასე განსაჯეთ, კლინიკაშიც კი იწვა, სადაც დეპრესიისგან გამოღწევას ლამობდა.

პანტანის ვარსკვლავური დრო 1998 წელი იყო, როცა მან ჯირო დიტალია და ტურ დე ფრანსი მოიგო.

ცეროდენა იტალიელი, რომელსაც პარტყუნა ყურების გამო „ელეფანტინოს“, ხოლო წვერის, საყურეებისა და ბანდანას გამო „პირატს“ უწოდებდნენ ველორბოლების ვარსკვლავად მაშინ აღიარეს, როცა ჯერ კიდევ 1995 წელს ჯიროსა და ტურის სამთო გადარბენებში თვით ლეგენდარული მიგელ ინდურაინი დაჯაბნა.

იმ 1998 წლიდან კი ველოსპორტში სხვა ამბავიც დაიწყო — წამლების დიდი სკანდალი. მაშინ ერთ-ერთ განთქმულ ველოგუნდს „ფესტინას“ საკლუბო მანქანაში აკრძალული პრეპარატები უპოვეს. პანტანი ამ საქმეში გარეული არ იყო, მაგრამ მას, თურმე, თავისიც ჰყოფნიდა. ტურზე ის უნდა ყოფილიყო კიბოს დამმარცხებელი ლენს არმსტრონგის მთავარი მეტოქე, მაგრამ 1999 წლის ჯიროზე პირატი ჩავარდა — მან უარი თქვა ტესტის გავლაზე, რის გამოც შეჯიბრიდან მოხსნეს.

ამ დროიდან დაიწყო ბრძოლა, რომელსაც პირატმა სიცოცხლის ბოლომდე ვერ დააღწია თავი. სკანდალი პანტანის ყოველდღიურობის ნაწილი გახდა.

2000 წლის ტური ერთ-ერთ სამთო გზაზე ლენს არმსტრონგმა გულგატეხილ პანტანის აშკარად დაუთმო და მონ ვენტოს ეტაპი მოაგებინა, რითაც, თითქოსდა ყველას მიანიშნა, ამ კაცს პატივი ეცითო. თუმცა, მერე არმსტრონგმა თქვა, დავუთმეო და სწორედ მაშინ პირველად უწოდა პანტანის „ელეფანტინო“, რამაც პირატი სასტიკად გაანაწყენა და მთელი ტურის მანძილზე არმსტრონგს სდევდა, რათა მისთვის ხელი შეეშალა. მარკომ ეს ვერ მოახერხა და სამუდამო მტერი შეიძინა.

ეს ის დრო იყო, როცა ველოსპორტის, როგორც ბინძურად გამოცხადებული სახეობის რეპუტაცია მეტად დაცემული იყო და ყოველ ამბავში პანტანის ახსენებდნენ. 2001 წლის ჯიროს დროს კი პანტანის ოთახში აკრძალული პრეპარატი იპოვეს. მან ყველაფერი უარყო, თუმცა სასამართლომ ექვსთვიანი აკრძალვა გამოუტანა. ის 2002 წლის ტურზეც არ დაუშვეს და ეს ბოლო წვეთი იყო. 2003 წლის დასაწყისში მარკომ ყურების ოპერაცია გაიკეთა, წლის ბოლოს კი მისმა ვექილებმა გამამართლებელ განაჩენს მიაღწიეს — 2001 წელს აკრძალული წამლების შენახვა ჯერ კიდევ არ ყოფილიყო დანაშაული. 2003-ში მან კვლავ ვერ მიიღო ადგილი ტურზე და კლინიკაშიც ამიტომ მოხვდა.

ასეთი იყო პირატის სპორტული ცხოვრება — როცა „ლა როსეს“ სასტუმროდან მორგში მიასვენებდნენ, ხალხი ტაშით მიცილებდა მთების მეფეს.

ჯორ დანმა ჯოვო



ჯორჯო პანტანო ერთი წლით „ჯორდანისაა“

ძალიან გაუჯანჯღლდა ედი ჯორდანს თავისი გუნდის დაკომპლექტება. სხვა საჯინიბოებმა, რა ხანია, დააახელეს მრბოლთა წყვილები, ირლანდიელი ბოსი კი აქამდე რაც შეიძლება უკეთესი ფინანსურ-ტექნიკური ვარიანტის ძებნაში იყო და ძლივს დაადგა საშველი.

ესპანეთში, ხერეს დე ლა ფრონტერას ტრეკზე მხოლოდ ორდღიანი გამოცდა საკმარისი აღმოჩნდა, რათა ჯორდანს თავისი მეორე ბოლიდი იტალიელ ჯორჯო პანტანოსთვის ჩაებარებინა. ისე, ეტყობა, ეს წავარჯიშება არც იყო აუცილებელი, რადგან საკითხი წინასწარ გადაწყვეტილს ჰგავდა: „99 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ „ჯორდანის“ პილოტი გავხდები“ — განაცხადა ჯორჯომ ესპანეთში ჩასვლისთანავე. ამბობენ, პანტანოსთვის გუნდში ადგილის საყიდლად მისმა სპონსორმა, იტალიურმა ტანსაცმლის ერთ-ერთმა ბობოლა ფირმამ სულ მცირე ხუთი მილიონი ევრო გადაიხადაო. გასაკვირი არაა, იტალიელს ხომ ბევრად გამოცდილი კონკურენტები ჰყავდა — იოს ფერსტაპენი, ალან მაკნიში, რალფ ფირმენი.

ასეა თუ ისე, წლეულს „ყვითლების“ ღირსებას დაიცავენ ოთხ სეზონში ნარბოლი 26 წლის ნიკ ჰაიდფელდი და მასზე ერთი წლით უმცროსი პადუელი დებიუტანტი. პანტანო „სამეფო“ რბოლებშია ახალბედა, თორემ უკვე ხუთი წელია, საჭეს ატრიალებს. პირველივე სეზონში (2000) გერმანული ფორმულა 3-ის ჩემპიონობა მოიპოვა, შემდეგ უფრო მძლავრ, ფორმულა 3000-ში გადავიდა და 2002 წელს ვიცე-ჩემპიონი გახდა, ხოლო შარშან მესამე ადგილს დასჯერდა. მოგებული აქვს ექვსი რბოლა. ადრე „ბენეტონის“, „მაკლარენისა“ და „უილიამსის“ ტესტებშიც მიუღია მონაწილეობა.

ჯორჯო „დიდ ფორმულაში“ მოხვედრით, ცხადია, გახარებულია: „ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა, მადლობა ვუთხრა ედისაც და მთელ გუნდს, რომ ჩემი შესაძლებლობების გამოვლენის შანსი მომცეს. ამის მიღწევაში ბევრნი დამეხმარნენ და ყოველმხრივ ვეცდები, მათ ნდობას ტრასაზე წარმატებით ვუპასუხო.“

ჯორდანიც კმაყოფილია შენაძენით და ახალგაზრდული ტანდემის ძალიანაც ეიმედება: „ჯორჯომ ფორმულა 3000-ში შესაშური სტაბილურობა და ოსტატობა გამოამჟღავნა, რაც მოწმობს, რომ უკვე მზადაა ფორმულა 1-თვის. ის და ნიკი ახალგაზრდობის, ბუნებრივი ნიჭისა და გამოცდილების შესანიშნავ კომბინაციას ქმნიან, ამასთან ორივენი სწრაფები და წარმატებისთვის „დამშეულები“ არიან. სწორედ ესაა, რაც გვესაჭიროება გუნდის აღმავლობისთვის. მოუთმენლად ველი პირველ რბოლას.“

ამრიგად, შესანიშნავი ოცეული შეიკრიბა და შვიდ მარტს ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებით შვიდთვიან მარათონს გაუყვება. მსოფლიოს 55-ე ჩემპიონატში სარეკორდოდ ბევრი, 18 ეტაპი გაიმართება. გაუქმების პირას მდგარი „საფრანგეთის დიდი პრიზი“ გადარჩა და ტრადიციულად „მანიკურის“ ავტოდრომზე გათამაშდება. საქმე ისაა, რომ ორგანიზატორებს შარშანდელი რბოლის შემდეგ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ათმილიონიანი ვალი დაედოთ. გარდა ამისა, ლიმიტს ზევით მე-18 ეტაპის დამატებით ყოველი გუნდისთვის საკომპენსაციო ორ-ორი მილიონი უნდა ჩაეთვალათ. ამ ოცი მილიონის გადახდას კი ფრანგებს სიკვდილი ერჩივნათ. სავარაუდოდ, „ჩაწყობის“ თანხა თავად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბერნი ეკლსტოუნმა გაიღო უფრო მეტი მოგების იმედით.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის 54-ე დიდი პრიზი 4 ივლისს ჩაივლის.

ზია ახალაძე

2004 წლის გუნდები და პილოტები

გუნდი	მრბოლი	ასაკი	ქვეყანა
ფერარი	მიხაელ შუმახერი	35	გერმანია
	რუბენს ბარიკელო	31	ბრაზილია
BMW-უილიამსი	ხუან-პაბლო მონტოია	28	კოლუმბია
	რალფ შუმახერი	28	გერმანია
მაკლარენ-მერსედესი	კიმი რაიკონენი	24	ფინეთი
	დევიდ კულჰარდი	32	დიდი ბრიტანეთი
რენო	ფერნანდო ალონსო	22	ესპანეთი
	იარნო ტრული	29	იტალია
B.A.R-ჰონდა	ჯენსონ ბატონი	24	დიდი ბრიტანეთი
	ტაკუმა სატო	27	იაპონია
ზაუბერ-პეტრონასი	ჯანკარლო ფიზიკელა	31	იტალია
	ფელიპე მასა	22	ბრაზილია
იაგუარ-ფორდი	მარკ ვებერი	27	ავსტრალია
	კრისტიან კლიენი	20	ავსტრია
ტოიოტა	კრისტიანო და მატა	30	ბრაზილია
	ოლივიე პანი	37	საფრანგეთი
ჯორდან-ფორდი	ნიკ ჰაიდფელდი	26	გერმანია
	ჯორჯო პანტანო	25	იტალია
მინარდი-კოსუორტი	ჯანმარია ბრუნი	22	იტალია
	ზოლტ ბაუმგარტნერი	23	უნგრეთი

ენდიმ ფიში დააფინიშა

SIEBEL OPEN
სან ხოსე. ჰარდი
საპრიზო 380 ათასი $

ფინალი

ენდი როდიკი (1, აშშ) — მარდი ფიში (3, აშშ) 7:6 (15:13), 6:4

ენდი როდიკი და მარდი ფიში გულითადი მეგობრები არიან. მარდის როდიკთა ფლორიდულ სახლშიც უცხოვრია — 1999 წელს ისინი ერთად დადიოდნენ იქაურ სკოლასა და საჩოგბურთო თუ საკალათბურთო კლუბებში. მათ ერთმანეთის თითქმის ყველაფერი იციან, მათ შორის — საჩოგნაო ავან-ჩავანიც. ამის გამო, მათი მატჩები ერთსა და იმავე დროს ძალიან დაძაბულიცაა და ძალიან ხალისიანიც.

ასე იყო იმ დღესაც, როცა 21 წლის ენდიბოიმ თავისკბილა დოსტს მეოთხე დაპირისპირებაში უკვე მესამედ სძლია, თანაც უკვე ზედიზედ მეორედ — ფინალში.

ბოლოჯერ ისინი ერთმანეთს ცინცინატური მასტერსტურნირის გადამწყვეტ შეხლაში შეხვდნენ და მეგობრის მოსარჯულებლად როდიკს მაშინ ორი მატჩბურთის მოგერიებაც კი მოუხდა.

ამ ჯერზე მას საქმე ასე აღარ გართულებია, თუმცა მატჩი მაინც თანაბრად წარიმართა და ფიშს პირველ სეტში ოთხი სეტპოინტი რომ არ გაეფლანგა, ეგებ კორტზე უფრო მეტხანს დარჩენილიყო.

მისი 17 ეისის წილ ენდიმ ერთითა ნაკლები მოაგროვა, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, რაკიღა — მართალია, როდიკი ამქრის რეკორდსაა, მაგრამ ფიში ზღვის დონიდან მასსავით მეტრსა და 87 სანტიმეტრს აითვლის და მხარშიც არანაკლებ ილაჯს მოიძევს.

ასეა თუ ისე, ეს ენდის მე-12 საკარიერო ტიტული გახლავთ და პირველი — შარშანდელი აშშ-ის ღია პრიველობის მოგებიდან. ამ ტიტულმა მას საპრიზოდ დათქმული 52 ათასი დოლარი არგო, რასაც ის ალბათ მთელი ტურნირის განმავლობაში მის მოქმაგე მეგობარ გოგონასთან, ბუსკუნა მსახიობ-მომღერალ მენდი მურთან ერთად მიხარჯავს.

რაც შეეხება ფიშს, მან თავის მეხუთე საეიტიპიო ფინალში ითამაშა და თუ გახსოვთ, აქედან მხოლოდ ერთხელ მოუგია — გასულ ოქტომბერში სტოკჰოლმობაზე.

INDESIT ATP
მილანი. ხალიჩა
საპრიზო 380 ათასი ევრო

ფინალი

ანტონი დიუპუა (საფრანგეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:4, 6:7 (12:14), 7:6 (7:5)

პირველ საკარიერო ტიტულს ფრანგი მეჩოგნე ანტონი დიუპუა მხოლოდ 30 წლისა ეღირსა. აქამდე მას მხოლოდ ერთ ფინალში ეთამაშა — 2001 წელს მიუნხენში და იქაც გამოცდილ ჩეხთან, ირჟი ნოვაკთან დამარცხებულიყო.

როცა ხორვატ ანჩიჩთან თითქმის მოგებული მატჩის მეორე სეტში შვიდი მატჩბურთი გაანიავა და ხელი დათმო, მრავალმა იფიქრა, რომ სანუკვარი ტიტულის მოხვეჭას ჭარმაგი ფრანგი ვერც ამ ჯერზე მოახერხებდა. მაგრამ გადამწყვეტ ტაიბრეიკში საჩოგბურთო ღმერთებმა მისი მხარე უფრო დაიჭირეს, ვიდრე მასზე თერთმეტი წლით უმცროსი ხორვატისა. შედეგად — სასიფთაო ჯილდო, ზედ 51 ათასი ევრო და ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქის შეგრძნება!

მარიო ანჩიჩი კი თავს იმით ინუგეშებს, რომ თუკი აქამდე რაგინდარა ტურნირის მეოთხედფინალამდე ვერ მიეღწია, ნაიმკვირეს უკვე პირველ ფინალში გასვლასაც დაიკვეხს.

ხოლო უკანასკნელი ფრანგი, ვინაც მილანის ტურნირზე იმარჯვა, ჩაუქი იანიკ ნოა გახლდათ — მან ამის გაკეთება 1988 წელს მოახერხა.

BELLSOUTH OPEN
ვინა დელ მარი. თიხნარი
საპრიზო 333 ათასი $

ფინალი

ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) — გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) 7:5, 6:4

სანტიაგოში დაფუძნებულ, ხოლო მოგვიანებით ვინა დელ მარში გადანაცვლებულ ამ ტურნირზე ფერნანდო გონსალესის გარდა ვერც ერთ ადგილობრივ მეჩოგნეს ვერ უპირველია, მათ შორის ვერც ამქრის ოდინდელ პირველოსან მარსელო რიოსს. პირველი ტიტული გონსალესმა იქ 2002 წელს მოიმკა. იმ წელზევე მოდიოდა მისი ბოლო აქამდელი ჯილდოც — პალერმოელი თიხნარობის შემდეგ მას მართლაც აღარაფერი მოეგო. ამგვარად — გუსტავო კუერტენის ძლევით, ვისაც იქ 2000 წელს გაემარჯვა, ხოლო ამჟამად კარიერის მე-20 ტიტულზე ნადირობდა, ჩილელთა ყოჩმეჩოგნემ ორწლიანი ტიტულყაბზობა შეწყვიტა. საერთოდ კი ეს მისი მეოთხე მოგებული ტურნირია და, როგორც დათქმული იყო, ყველა მეტოქის ძლევაში მას 45 ათასი საპრიზო დოლარიც ჩაუთვალეს.

OPEN GAZ DE FRANCE
პარიზი. ხალიჩა
საპრიზო 585 ათასი ევრო

ფინალი

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — მარი პირსი (საფრანგეთი) 6:2, 6:1

მარი პირსს მთელი პარიზული მილეთი კი ქომაგობდა, მაგრამ კიმ კლაისტერსი ის ქალია, ვინაც მხოლოდ შავდა უილიამსებთან ანაც ჭინკა თვისტომ ჟუსტინ ენენ-არდენთან აგებს. სხვებთან კი ძირითადად ასე ამთავრებს ხოლმე — საათზე ნაკლებ დროსა და გაუსაჩივრებლად!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 20 წლის კიმი გახდა მე-20 ქალი ღია ტურნირთა ეპოქაში (ანუ 1969 წლიდან) ვინაც სულ მცირე 20 ტიტულის მოგება შეძლო.

ეს გამორჩეული ამბავი მას საპრიზო 93 ათასი დოლარითაც დაუფასდა.

ორგზის სლემ და ჯამში 15-ტიტულოსან მარის კი იმითაც უნდა ეკმაყოფილა, რომ 2000 წლის როლანგაროსობის შემდეგ თავის პირველ სადაბლეიტიო ფინალში გავიდა.

ლევან კელაურაძე



ვინა დელ მარში, ეს ესაა, ფინალი დასრულდა

ტორპმა სპიცს ვერ შეჯაბდა

ერთ ოლიმპიურ თამაშებში შვიდი ოქროს მედლის მოპოვება დღემდე მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა შეძლო. ეს იყო ამერიკელი მარკ სპიცი, რომელიც 1972 წელს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში მოცურავეთა შეჯიბრების საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სწორედ შვიდჯერ ავიდა.

სპეციალისტები ვარაუდობდენ, რომ სპიტცის ამ რეკორდს ისევ მოცურავე იან ტორპი შეუტევდა, მაგრამ ეს ავსტრალიელი მის გულშემატკივრებს ამგვარ იმედებს უცრუებს. მან განაცხადა, რომ ათენის ოლიმპიადაზე სტარტზე ექვსჯერ გამოვა და ამთავითვე უარს ამბობს ლეგენდარული ამერიკელის რეკორდის გამეორების ცდაზე.

2000 წელს, როცა 17 წლის იან ტორპმა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში სამი ოქროს მედალი მოიპოვა, ხალხმა იფიქრა, ეს ავსტრალიელი ათენში სპიტცის რეკორდს შეუტევსო.

ტორპის „უარის“ შემდეგ ყველამ მზერა სხვა მოცურავეს მიაპყრო, ესაა თინეიჯერი ამერიკელი მაიკლ ფელპსი. მას ერთ მილიონ დოლარს დაპირდნენ იმ შემთხვევაში, თუ ერთ ოლიმპიურ თამაშებში შვიდ ოქროს მოიპოვებს.



იან ტორპი მიღწეულითაც კმაყოფილია

გამოვიდა

სასიკეთო ჩანაფიქრი ამოატივტივა ხელბურთის კლუბ „თბილისის“ მწვრთნელმა მამუკა მჟავანაძემ. მისი ინიციატივით ითარგმნა და გამოიცა ცნობილი ჩეხი სპეციალისტების, ფრანტიშეკ ტაბორსკის და იანა საფარიკოვას მეტად საჭირო მეთოდური სახელმძღვანელო მწვრთნელ-მოთამაშეებისთვის „ხელბურთის პატარა სკოლა“. აქვე ვიტყვით, რომ გამომცემლები ემადლიერებიან ბატონ ალექსანდრე ჭელიძეს ბროშურის ჩეხურიდან თარგმნისთვის.

პროფესორი ტაბორსკი გახლავთ ევროპის ხელბურთის ფედერაციის მეთოდკომისიის თავმჯდომარე. ორჯერ იყო მოვლინებული თბილისში ქართველი მწვრთნელებისთვის სემინარების ჩასატარებლად.

„ხელბურთის პატარა სკოლის“ ქართული გამოცემა პან ფრანტიშეკს მჟავანაძემ ლიუბლიანაში, ევროპის ჩემპიონატისას უსახსოვრა, რითაც ავტორი, ცხადია, ნასიამოვნები დარჩა. ცნობისთვის, მამუკა იქ მწვრთნელთა ოთხდღიან სემინარში მონაწილეობდა და შესაბამისი სერთიფიკატიც მიიღო.

სხვათა შორის, ლიუბლიანაში უნდა განეხილათ საქართველოს ვალის საკითხი, მაგრამ ჩვენი ხელბურთის ასოციაციის ხელმძღვანელობამ სლოვენიაში გამგზავრება ვერ მოახერხა. შეგახსენებთ, ჯერაც გადაუხდელი გვაქვს შარშან საფრანგეთში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე წაუსვლელობის ჯარიმა — 15 000 ევრო და ვიდრე არ დავფარავთ, აგრეთვე კიდევ ერთ ამდენივეს ევროფედერაციის ანგარიშზე გარანტიად არ გადავრიცხავთ, რათა მსგავსი სამარცხვინო ამბავი აღარ მოხდეს, საქართველოს კლუბები და ნაკრებები მოკვეთილი იქნებიან საერთაშორისო სარბიელიდან.

რეგულარული ჩემპიონატი

„ლოს ანჯელესის“ მეკარემ რომან ჩეხმანეკმა ნიუჯერსელ ჯონ მადენს არ გაატანინა

— 15 თებერვალი —

მინესოტა 1:2 კალგარი
0:1 1:0 0:1
0:1 იგინლა (20), 1:1 ჟოლტიკი (26), 1:2 რეჟე (47)

როგორც ჩანს, დასავლეთის საპლეიოფო რბოლაში მხოლოდ 9 გუნდი ჩაებმება. „მინესოტა“ მათ კვალში ედგა, მაგრამ კვირას „კალგართან“ დამარცხდა და შანსი ხელიდან გაუშვა. ახლა მას „სენტ ლუისისგან“ უკვე 5 ქულა აშორებს, თან ორი მატჩით მეტი აქვს ნათამაშები. ვფიქრობთ, დასავლეთის ფავორიტებს ეს ფრიად ახარებთ, ვინაიდან შარშან სწორედ მოსაწყენი, დაცვითი ჰოკეის მიმდევარმა „მინესოტამ“ გაუშრო სისხლი „კოლორადოსა“ და „ვანკუვერს“.

„ალები“ კი პირიქით, წლეულს უფრო ანათებენ, რაც მისი ლიდერის, ჯერომ იგინლას ხელახლა გაბრწყინებასთანაა დაკავშირებული. 2001-02 წლების უძვირფასესმა მოთამაშემ გასული სეზონი ჩააფლავა, მაგრამ წლეულს კვლავ ჩინებულად თამაშობს. ბოლო 8 მატჩში „კალგარის“ ლიდერმა 10 გოლი გაიტანა.

ნიუ ჯერსი 3:2 ლოს ანჯელესი
1:2 1:0 0:0 1:0
0:1 როშა (8), 0:2 ჟიუკა (10), 1:2 ბრილინი (19), 2:2 ლინგენბრუნერი (27), 3:2 მარტინი (64)

ჩიკაგო 0:4 ვაშინგტონი
0:0 0:2 0:2
0:1 ბონდრა (26), 0:2 პიატი (27), 0:3 პეტინგერი (43), 0:4 კარტერი (59)

ნეშვილი 2:2 ედმონტონი
1:0 1:1 0:1 0:0
1:0 უოკერი (2), 1:1 დვორჟაკი (23), 2:1 იუპანსონი (33), 2:2 მორო (51)

აღმოსავლეთი							
							NHL
ფილადელფია	59	31	11	5	12	170:127	78
ტორონტო	58	31	9	3	15	164:142	74
ტამპა	57	30	7	3	17	159:128	70
ოტავა	57	31	7	4	15	191:125	73
ბოსტონი	59	28	11	6	14	151:136	73
ნიუ ჯერსი	57	30	10	1	16	132:110	71
მონრეალი	59	28	6	2	23	145:135	64
აილენდერსი	57	27	7	2	21	163:142	63
ბუფალო	58	26	5	1	26	148:149	58
ფლორიდა	58	20	11	3	24	131:155	54
რენჯერსი	58	21	7	4	26	149:166	53
ატლანტა	59	22	6	2	29	157:181	52
კაროლინა	57	17	11	2	27	109:145	47
ვაშინგტონი	58	18	6	2	32	138:181	44
პიტსბურგი	58	11	5	4	38	115:221	31

დასავლეთი							
							NHL
კოლორადო	57	32	10	4	11	177:126	78
დეტროიტი	58	32	8	2	16	187:138	74
სან ხოსე	58	27	11	5	15	143:118	70
ვანკუვერი	59	31	7	3	18	172:136	72
კალგარი	58	30	5	3	20	144:129	68
დალასი	58	27	10	0	21	124:129	64
ლოს ანჯელესი	58	22	13	7	16	155:154	64
ნეშვილი	57	27	7	2	21	139:151	63
სენტ ლუისი	57	27	7	1	22	133:143	62
მინესოტა	59	20	15	2	22	128:130	57
ედმონტონი	58	23	9	1	25	148:150	56
ფინიქსი	57	19	14	3	21	144:160	55
ანაჰაიმი	58	19	8	7	24	127:154	53
კოლუმბუსი	57	16	8	4	29	117:161	44
ჩიკაგო	58	16	7	5	30	132:170	44

პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლ სტარის სმაური

ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში“ ენბიეის დასავლეთისა და აღმოსავლეთის „ოლ სტარი“ გაიმართა, რომელიც კვლავაც დასავლეთმა მოიგო 136-132, საუკეთესო კაცად კი შაკილ ონილი გამოდგა. შოუ ფრიადი იყო, ამერიკის ჰიმნს კრისტინა აგილერა აგუგუნებდა, სიყვარულის ჰანგებს კი მკვრივი ბეიოანსი. რა თქმა უნდა, იქ იყო კალიფორნიის გუბერნატორი არნი შვარცნეგერი, რომელიც ჩინელ გოლიათს, იაო მინგს ებდღვნა.

REUTERS ლოს ანჯელესი

REUTERS ლოს ანჯელესი

ბუშები დაიტონაზე

პრეზიდენტი ბუში თავის საარჩევნო კამპანიას ფლორიდაში აგრძელებს. სწორედ ამ უქმეებზე დაიტონა-500-ის დღე იყო, ნასკარის მძღოლების დიდი და ხიფათიანი, რიგით 46-ე შეჯიბრი. ერთ-ერთ მრბოლად იქ მსახიობი ბენ აფლეკი გამოდგა, ვისაც პრეზიდენტის მეუღლე ლაურაც ეპაასა.

REUTERS დაიტონა ბიჩიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღლაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge